დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 28 შაბათი, 20 დეკემბერი 1908 წ. № 28

გაზეთი „დროება“ ერთის წლით ღირს 7 მან., ნახევარი წლით—4 მან. 50 კაპ., ერთის თვით—90 კაპ., გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „დროების“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია სულ არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქუჩა, № 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА“.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

მიიღება ხელის-მოწერა 1909 წლისათვის

დროება

1909 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორითაც მდგომარე წელს გამოდიოდა. მომავალ წელს გაზეთი გაუმჯობესებული იქნება შინაარსით.

◆ **ყოველ დღიურ გამოცემის გარდა 1909 წელს გაზეთს ექნება** ◆

სურათებიანი დამატება

დამატება გამოვა კვირაში ერთხელ—კვირაობით.

მომავალ წელზე გაზეთში დაიბეჭდება „რუსეთის სააგენტოს“ დეპეშები. დეპეშები უკვე დაკვეთილია და დეკემბერშივე დაიწყო ბეჭდვა.

გაზეთის ფასი დამატებიანა: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კაპ., ერთი თვით—1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური ◆

◆ **დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი**

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან. წლით გაზეთის გამოწერა შეიძლება მარტო პირველ იანვრიდან პირველ იანვრამდე. წლიურმა ხელის-მომწერმა ფული ან ერთბამად უნდა შემოიტანოს ან ნაწილ-ნაწილ ამნაირად: პირველად—3 მანეთი, პირველ მარტისთვის—2 მანეთი, პირველ მაისისთვის—2 მანეთი და პირველ ივლისისთვის—1 მან. 50 კაპ. გაზეთის გამოწერა უდამატებოდ არ შეიძლება.

ვინც 15 იანვრამდე გაზეთს გამოიწერს და სამ მანეთს შემოიტანს, იმას მიეცემა კედლის თვიური პატარა

კალენდარი 1909 წლისა

ხელის-მოწერა ჯერ-ჯერობით მიიღება მხოლოდ ტფილისში: „დროების“ კანტორაში—დიდი ვანქის ქუჩა, N 12; წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში მ. ქურუკაძესთან—სასახლის ქუჩა, თავად-აზნ. ქარვასლა; ნაძალადევში მეპურე მელიტონ ღოღობერიძესთან—მაგისტრალნი ქუჩაზე, გრიგოლ ჩარკვიანის სახლში; რკინის გზის მთავარ სახელოსნოში ვანო ჭავჭავაძესთან—ტოკარნი ცეხი.

პროვინციალურ აგენტებთან ხელის-მოწერა ჯერ-ჯერობით არ მიიღება. პროვინციალურმა ხელის-მომწერლებმა რედაქციიდან უნდა დაიკვეთონ გაზეთი ფოსტით.

◀ **ხელის მომწერთა საყურადღებოდ** ▶

კანტორა უმორჩილესად სთხოვს ახალ ხელის მომწერთ, თუ ვინიცობაა ვერ მოახერხებენ ფულის კანტორაში შეტანას, დამტარებლებს გადასცენ იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს უკანასკნელნი კვიტანციას წარუდგენენ.

ხელის-მოწერა რედაქციის კანტორაში შეიძლება: დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5 დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба“ И. С. АГЛАДЗЕ.

თავადნი **ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე, დავით, გიორგი, ელენე ამირეჯიბნი** და კნეინა **ეკატერინე გიორგის ასული აბაშიძისა** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 20 ქრისტიშობისთვეს **კნეინა**

დარია გიორგის ასულის ამირეჯიბის

გარდაცვალების მეორმოცე დღეს მისი სულის მოსახსენებლად ვერის წმიდა ნიკოლოზის ეკკლესიაში გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი. წირვა დაიწყება 10 საათზე, პანაშვიდი—12-ზე. (677—1)

ელისაბედ, ნადია, ელენე, ვასო ფიცხელაურები, მარიამ კარბელაშვილისა და **ნინა მაკაროვისა** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას საყვარელ დის

ოლღა თომას ასულის ფიცხელაურისას.

პანაშვიდი შაბათს, საღამოს 8 საათზე. ყიფიანის ქუჩა, № 25. გამოსვენება კვირას, 21 დეკემბერს, კლოუბნის ეკლესიაში. (1—680—1)

ტფილისის სახაზინო თეატრი

შაბათს, 20 დეკემბერს, ს. ი. დრუზიაკინისა და ნ. ვ. კარჟევინას მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

„გუგენოტები“

მონაწილენი: ქ-ნნი დრუზიაკინა, კალინინა მეორე, ლავროვისა, ოსიპოვისა, ფერარისა; ბ-ნნი დანილევსკი, ევლახოვი, კარჟევინი, კარელინი, ლუტჩევი, როზანოვი, სერგეევი, სიმონოვი, ულუხანოვი და სხვ.

ფასები ჩვეულებრივია.

დირიჟორი **ანტონ ეიხენვალდი.** რეჟისორი **ც. ურბანი.**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ანონსი: ხვალ საქველ-მოქმედო წარმოდგენაა სომეხთ ქალთა საქველ-მოქმედო საზოგადოების სასარგებლოდ. წარმოდგენილი იქნება პირველად ტფილისში „იოლკა“, „ნური და ანიტრა“ და „სოფლის პატიოსნება“.

ცირკი ძმ. ნიკიტინებისა



შაბათს, 20 დეკემბერს, დიდი სადღესასწაულო წარმოდგენა 3 მოქმედებად. **ჩვენი შაბათები. ახალი არტისტები და გასტროლები.** პირველი დებიუტი ცხენოსან ქალის **ბარონესსა შულკევიჩისა.** პირველად გამოდიან **ანდრიო, სალამანდრა, სლეზინა,** და სხვები. გაიმეორებენ **რიჩარდ რიბოს** ბენეფისის ზოგიერთ ნომრებს. მონაწილეობას იღებენ ტფილისში ჯერ პირველად მოსულნი პირველ ხარისხოვანი მოთამაშენი. დასასრულ დიდი ფრანგული ბალეტი **„ნეპტუნი ალებს შორის“.** დაწვრილებით აფიშებში.

დასაწყისი ხწორედ საღ. 8 ნახევარ საათზე.

(0—1) დირექტორი ცირკისა **აკიმ ალ. ნიკიტინი.**

კვირას, 21 დეკემბერს, 1 საათზე ზუბალაშვილის სახალხო სახლში კირკის ქუჩაზე დანიშნულია

◆ **სახალხო უნივერსიტეტების წევრთა საზოგადო კრება.** ◆

გამგეობის მიერ დამოუკიდებელ მიზეზისა გამო კრება 10 საათიდან პირველისთვის გადიდო. (2—უ—1)

სალიკვიდაციო კომისია

ქვემო-მაჩხაანის მომხმარებელ საზოგადოებისა

იწვევს წევრთ ამ საზოგადოებისას სოფელ ქვემო-მაჩხაანში ანგარიშის ჩასაბარებლად 1909 წლის 15 იანვრისათვის. კომისიის თავმჯდომარე

(2—682—1) **ალექსანდრე ნადირაძე.**

წარმოდგენა № 3. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 3.

◆ **წარმოდგენა დილით** ◆

კვირას, 21 დეკემბერს 1908 წ. ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება **პირველად ახალი პიესა**

მეგობრობა

დრამა 4 მოქმედებად ნ. მიქაშვილისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ა. კარგარეთელი, ე. მდივანი, ჯავახიშვილი; ბ-ნნი: ვ. გედევანოვი, ვ. გუნია. ნ. გვარამე, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, გ. იმნაძე, კ. მესხი, ი. ყიფიძე, კ. მათირიშვილი, ვ. შალიკაშვილი.

დასაწყისი დილის 12 საათზედ.

მზადდება წარმოსადგენად „ხელები“ ლემონიესი.

უფროსი რეჟისორი **ა. ი. ყანჩელი.** რეჟისორი **ვ. შალიკაშვილი.**

ადმინისტრაცია დრამატ. საზოგადოებისა.

ექიმი ე. ს. ხუნდაძე ქუთაისში იღებს შინაგან, საშარდე და ქალთა სნეულობით ავადმყოფებს, აგრეთვე ბებიაობს, ყოველ დღე: დილით 10—1 ს., საღამოთი 6—7 ნახევარ საათ. ლესამოვის ქუჩა, ს. N 29 ჩარექოვისა. (25—6.—15)

ექიმი კ. თ. ტყეშელაშვილი **ქუთაისში** იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფებს (სიფილისი, სუსუნატი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების სატკივარი), ტფილისის ქ., ფირალოვის სახლი (ქარხანა). (120—ფ.—18)

ექიმი ნ. მ. მელიქიშვილი იღებს ქირურგიულ და ქალების სნეულებათა ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10 ს. დილით და 4—6 ს. საღამოთი. ბროსეს ქუჩა, N 11. (25—656—13)

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

ექიმი ქუთაისში **ვ. წერეთელი** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ. ტფილისის ქუჩა, სადაც კაზაკოვის ქუჩა იწყება, სამსონ აბდუშელიშვილის სახლში, დილით —129 ს. და საღამოთი 4—6 ს. (უ)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. ყორღანოვის ქუჩა N 14. (უ)

ექიმი ვ. ლამბაშიძე გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

ექიმი კბილისა **გრიგ. ტყეშელაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—5 საათ. ოლგას ქუჩა, N 33. (25—6.—25)

ექიმები კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი** და **მ. ო. სუხარევსკი** იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბოვის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—55)

ექიმი ზ. ე. ხოჯაპარუხოვი ყოფილი ასისენტი ოდესის უნივ. კლინიკისა, მიღება სიფილისით, საშარდით და კანით ავადმყოფთა დილით 9—11 ს., საღამოთი 5—7 ს; ქალებისა და ბავშვებისათვის 11—12 ს. ხოლოდაკი, ბებუთოვის ქ., N 29, საკ. სახ. (25—639—22)

კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი **მ. გედევანიშვილისა** იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—7 საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (6.—54)

ექიმი თვალისა **ზ. მ. ცხვედაძე** დორპატის უნივერსიტეტის კლინიკაში ასისტენტად ნამყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველ დღე, დილით 11—1 ს. და საღამოს 5—6 ს.; ვერა, ოლგას ქ., N 31, ს. სარაჯიშვილისა. (25—668—8)

ექიმი **ჯაფარიძე** ქ. ქუთაისში შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ტფილისის ქუჩა, ს. თ. ნიჟარაძისა (6—30)

ექიმი ე. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ავჭალის ქუჩა, N 41, სასულიერო სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

ექიმი კბილისა **ალ. სოლოლაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივნისა. (უ)

ექიმი კბილისა **ნ. რცხილაძე** იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა N 25. (უ)

სამკურნალო ქუთაისში, **ქირურგიული და დედათა სნეულებისა,** მუდმივი საწოლებით, ტერაპევტიულ განყოფილებით და მოსალოგინებელ ოთახით **ექიმის ივ. ბოკერიასი** (გიმნაზიის ქუჩა, პრინცესა მიურატის სახლი, სადაც წინად ს. თოფურიას სამკურნალო იყო).

ექიმი ვალ. ლორთქიფანიძე—შინაგანი, ბავშვების და ნერვების სნეულებით ავად. დილით 9—1 და საღამოთი 4—6 ს.

ექიმი ივ. ბოკერია—ქირურგიული, ქალის, ვენერიულ და კანის სნეულებით ავად. დილით 9—1 ს. და საღამოთი 4—6 ს. **რჩევა ათი შაური.**

კონსულტაცია და ოპერაცია შეთანხმებით. მძიმე ავადმყოფებს იღებენ ყოველ დროს. (25—6.—14)

სახალხო თეატრი

შაბათს, 20 დეკემბერს, ქართულ სახალხო თეატრის სექციის მიერ ავჭალის აუდიტორიაში წარმოდგენილი იქნება პირველად ახალი პიესა

„კოჭრიანი ტოროლა“

დრამა ოთხ მოქმედებად

მონაწილეობას მიიღებენ: ქიქოძე, გამრეკლიძე, ანდრონიკაშვილი, ივანიძე, ჯაბაური და სხვა.

ბილეთები გაიყიდება საღამოს ხუთი საათიდან. დასაწყისი საღამოს 7 ნახევარ საათზე.

საზოგადოების საყურადღებოდ: თანახმად სექციის უკანასკნელ დადგენილებისა, თეატრში არ შეუშვებენ ბავშვებს, რომელნიც 12 წლისანი არ იქნებიან. (უ)

„ტფილისის სობრანიე“

შაბათს, 20 დეკემბერს, ბ-ნთ წევრთა, კანდიდატთა, მათ ოჯახთა და სტუმართათვის გაიმართება

სამუსიკო საღამო

დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი ა. ი. ფიდელსკის გამგეობით.

დასაწყისი საღამოს 8 ნახ. საათზე.

დასასრულ ცეკვა.

სტუმრებს საზოგადო წესით შეეძლიათ მესვლა.

ანონსი: კვირას, 21 დეკემბერს **საზოგადო კრება.** (1—681—1)

8 დეკემბერს გაიხსნა ახალი

ტფ. კერძო სამკურნალო

(ამბულატორია)

ღიაა ყოველ-დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაკზლის ქ., 8; ს. ენფიანჯიანცისა; ტელეფონი 695.

ექ. ე. გ. ფედოროვი: ყოვ. დღე გარდა ოთხშ. და კვირისა 8 ნახ.—9 ნახ. საათამდე შინაგანი.

ექ. ვ. დ. ლამბაშიძე: ყოვ. დღე, კვირა დღის გარდა, 11—12 ს. შინაგ. და ბავშვ. ავადმყ.

ექ. ბ. ა. პოპოვი: ორშ., ოთხშ., ხუთშ. და შაბ.; 12—1 ს.; ყელის, ცხვირის და ყურის ავადმყ.

ექ. ბ. მ. მაკაროვი: სამშ. და პარ.; 12—1 ს.; შინაგან ავადმყ.

ექ. ა. ნ. დიასამიძე: ყოვ დღე; 11 ნახ—12 ნახ. ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავადმყ.

ექ. ნ. მ. მელიქიშვილი: ყოვ. დღე; 1—2 ს.; დედათა და ხირურგ. ავად.

ექ. ი. გ. გომართელი: ყოვ. დღე; 2—3 ს.; შინაგ. და ბავშვ ავადმყ.

ექ. ვ. ს. მუსხელიშვილი: ყოვ. დღე; კვირა დღ. გარდა, 2—2 ნახ. ს., თვალის ავადმყ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ხიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათა გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის 50 კაპ., ოპერაციები და კონსულტაციები მორიგებით.

ამ მოკლე ხანში გაიხსნება სტაციონალური განყოფილება 30 საწოლით. (25—657—9)

მაქვს პატივი, ვაუწყო პატივცემულ საზოგადოებას, რომ საუკეთესოდ მოვაწყე

ფეხსაცმელების სახელოსნო

სრული პასუხისმგებლობა

ვამზადებთ ყოველნაირ საქონელს შეღავათიან ფასებში, ვასრულებთ სუფთად, მაგრად და დანიშნულ ვადაზე. ვკისრულობთ სრულ პასუხისმგებლობას.

ადრესი: წყნეთის ქუჩა, სახლი ზითაროვისა, N 28.

სრული პასუხისმგებლობა

პატივისცემით

(20—6.—8) **ივ. სვ. ბერძნიშვილი.**

აკაკის **იუბილეის ძვირფასი სახსოვარი**

გასასყიდად დაურიგდა: წიგ. გამომ. საზოგად. ქუთაისში—ის. კვიცარიძის და სხვა წიგნ. მაღაზიებს ამხ. „კალმის“ ახალი გამოცემა: ფერადი წამლებით დახატული საიუბილეო სიმბოლიური სურათი. ფასი ყველგან ორი აბაზი. უმთავრ. საწყობი ამხ. გამგესთან—გ. სალარიძესთან (ტფილისში: ოლგის ქუჩა, № 31). (1—უ—1)

ტფილისი, 20 დეკემბერი.

არა ერთხელ აღგვინიშნავს, რომ განმათავისუფლებელ მოძრაობის ხანას ერთი ფრიად სანუგეშო შედეგი მოჰყვა როგორც რუსეთში, ისე ჩვენში: ხალხში ერთი ორად და ერთი სამად გაძლიერდა სწავლა-განათლების წყურვილი. არა მარტო ქალაქის მშრომელი მასსა, არამედ სოფელიც გამოფხიზლდა და ენერგიულად ეტანება სწავლას. ხალხის ასეთ მოძრაობის დამამტკიცებელი ფაქტი აუარებელია რუსეთში: თვით მუშები და გლეხები შეუდგნენ საგანმანათლებლო დაწესებულებათა შექმნას და ინტელიგენცია იძულებული გახდა არა ჩვეულებრივის ენერგიით შესდგომოდა გაღვიძებულ წყურვილის დაკმაყოფილების საქმეს. ქალაქებში დაარსდა ბევრი საზოგადოება, წრე, კომიტეტი, სახალხო უნივერსიტეტი; სოფლად იწყეს სკოლების და ბიბლიოთეკების გახშირებული დაარსება; სოფლის ხალხის ეს მოძრაობა იმდენად ძლიერი გამოდგა, რომ თვით შავრაზმელი ერობაც შედრკა და ამ გზაზე მუშაობა დაიწყო. ტყუილად კი არ შეჰქნეს ამას წინად განგაში რეაქციონერთა ბანაკში—„რევოლიუცია სწავლა-განათლების საქმეში გადასახლდაო“...

ჩვენში, რასაკვირველია, ეს ტალღა ასე მძლავრად არა სცემს, მაგრამ მაინც საკმაოდ ბევრი ფაქტი გვიმტკიცებს სწავლა-განათლებისადმი დიდის ინტერესის გაღვიძებას. არა მარტო ტფილისსა და სხვა დიდ ქალაქებში, არამედ პატარა დაბაქალაქებშიაც საჭირო შეიქნა სახალხო უნივერსიტეტისა ან მისდაგვარ დაწესებულების დაარსება. ეს ყველამ იცის და ამაზე სიტყვას არ გავაგრძელებთ; ჩვენ გვინდა აღვნიშნოთ დღეს მეორე, უფრო უჩინარი მოვლენა, ფრიად საინტერესო და სანუგეშო; სახელდობრ ისა, რომ ჩვენი ქვეყნის სოფლის ხალხიც შეიძრა და უფრო და უფრო ენერგიულად გვიცხადებს სურვილს, გვიმჟღავნებს ახლად დაბადებულ მოთხოვნილებას... შემთხვევა გვქონდა გადაგვეთვალიერებინა სია იმ სოფელთა, რომელნიც ჩვენს წერა-კითხვის საზოგადოებასა სთხოვენ ბიბლიოთეკისა ან სკოლის გახსნას, წიგნების გამოგზავნას ან სხვა გვარ დახმარებას სწავლა-განათლების საქმეში. სია დიდია და მარტო სოფლების ჩამოთვლა დაიჭერდა გაზეთის ერთ-ორ სვეტს. ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან, თვით მიყრუებულ სოფლებიდანაც მოსდის წერა-კითხვის საზოგადოებას სოფლის ყრილობათა ან კერძო პირთა მუდარა—გვიშველეთ და დაგვეხმარეთ სწავლის საქმეშიო. საუბედუროთ, დიდი უმეტესობა ამ თხოვნებისა დაუკმაყოფილებელი რჩება, რადგან წ.-კ. საზოგადოებას საშუალება არ მოეპოვება ყველას სურვილი დააკმაყოფილოს. უნდა აღვნიშნოთ, რომ ბევრს, ალბათ, გადაჭარბებული წარმოდგენა აქვს ჩვენი წ.-კ. საზოგადოების ნივთიერ ძალაზე და ამიტომ ჰსურთ მთელი ხარჯი მას მოახვიონ კისერზე. ჩვენ ვნახეთ სიაში ისეთი სოფლები, რომელთაც სრულიადაც არ გაუჭირდებათ თვითვე გაიღონ ხარჯი სკოლის ან ბიბლიოთეკის დაარსებისა და შენახვისათვის, მაგრამ მაინც წ.-კ. საზოგადოებას სთხოვენ დახმარებას. სულ უკანასკნელ ხანში, მაგალითად, წ.-კ. საზოგადოებას მოსვლია თხოვნები ბიბლიოთეკის გახსნის თაობაზე დასავლეთ საქართველოს ისეთ შედარებით მდიდარ სოფლებიდან, როგორიც არიან საყულია, ფარცხანაყანევი, გუბი და სხვა. ადგილობრივ ინტელიგენციის მოვალეობაა აუხსნას ასეთ სოფლებს, რომ წ..კ. საზოგადოებას იმდენი ძალა არ მოეპოვება ყველას გაწვდეს და რომ უფრო მდიდარ სოფლებმა თვითონ უნდა გაიღონ საშუალება, ხოლო წ.-კ. საზოგადოებისაგან სხვა მხრივი დახმარება უნდა მოითხოვონ (თავის სახელზე სასწავლებლის ან ბიბლიოთეკის გახსნა, მასწავლებლის დანიშვნა და სხვა).

ვიმეორებთ, ჩვენი სოფელიც დღეს ამოძრავდა და ეწაფება სწავლა-განათლების მიღებას. ეს მოვლენა აიძულებს ჩვენებურ სოფლისა და ქალაქის ინტელიგენციას, ჩვენებურ საკულტურო დაწესებულებათ გაათკეცონ ენერგია და გააძლიერონ მუშაობა. საქმე გართულდა და გაძნელდა და ჩვენს, ცენტრალისტურ წესზე მოწყობილს, წერა-კითხვის საზოგადოებას აღარ შეუძლია ყველაფერს გასწვდეს. ამიტომ სწორედ მოსწრებული იყო, რომ წარსულ საზოგადო კრებაზე დამტკიცებულ იქმნა საზოგადოების განყოფილებათა დაარსების წესრიგი და მუშაობის ინსტრუქცია. ჩვენ გავიგეთ, რომ ქუთაისს, ბათუმს, თელავსა და კავკავს უკვე გადაუწყვეტიათ ადგილობრივ განყოფილებათა დაარსება. ამ მიზნით, იანვრის ოთხისათვის წერა-კითხვის საზოგადოების საგანგებო კრება იქნება მოწვეული, რათა წევრებად აირჩიონ ის პირნი, რომელთაც განუზრახავთ ხსენებულ ქალაქებში განყოფილებათა დაარსება. გავახსენებთ სხვა დაბა-ქალაქების ჩვენს ინტელიგენციას, რომ განყოფილებათა დაარსებისთვის საჭიროა 50 წევრი საზოგადოებისა იყოს ადგილობრივი. თუ კიდევ სადმე განზრახულია წ. კ. საზოგადოების განყოფილების დაარსება, ოთხ იანვრამდე მოაწოდონ წ. კ. საზოგადოებას სია იმ პირთა, რომელთაც ეს განზრახვა აქვთ, რათა მათი არჩევნებიც მოხდეს და საქმე ამ მხრით არ დაბრკოლდეს, არ გადიდეს შემდეგ საზოგადო კრებამდე.

დროა, კარგა ხანია დროა ჩვენი ქალაქის და სხვა ცენტრების ინტელიგენცია და საზოგადოება ჩაებან ინტენსიურ საკულტურო მუშაობაში. განა საკვირველი არაა, რომ ამდენხანს, მაგალითად ქუთაისში და ბათუმში, წერა-კითხვის საზოგადოებას განყოფილება არა აქვს? საჭკალი დიდია და ყველა შეგნებულ ძალების ამომრავებას მოითხოვს...

აკაკის იუბილეი

ახალი ნივთები. წერა კითხვის საზოგადოებამ ქუთაისის საიუბილეო კომიტეტისაგან აკაკის მუზეუმში შესანახად მიიღო დღესასწაულის დროს მირთმეული ნივთები. 21 დეკემბერს მგოსნისათვის მიურთმევიათ: 1. ქუთაისის ქართულ გიმნაზიის მოსწავლეებს სურათი თვით მგოსნისა, გოჩას ტანისამოსში გამოწყობილი, სურათზე ვერცხლის ფიცარია მოკრული და ზედ ლექსი აწერია; ტახტზე ასული ფარისევლობა სისხლით და ცრემლით შავ პირს იბანდა და დღევანდელმა დღემ არ იცოდა თუ ხვალინდელი რას მოიტანდა მაშინ გავიდა ხალხში მგოსანი საერო ცრემლი ჩანგზე დაღვარა და ხალხის გული მიძინებული გამოაღვიძა და ააძგერა 2. ქუთაისის დრამატიულ საზოგადოებას—აგრეთვე სურათი; 3. ქუთაისის ხელოსნებს—ვერცხლის გული შესაფერის წარწერით და

და ყარანდაშის ოქროს ბუდე; 4. გიორგი ეპისკოპოსს — ვერცხლის ხატი; 5. ქუთაისის ფარმაცევტებს — სურათი; 6. ქუთაისის მუშებს — შოთა რუსთაველის სურათი ძვირფას ჩარჩოში; 7. ქუთაისის სომეხ გრიგორიანებს — ძვირფასი ტყავის პაპკა და სხვ. საჩუქართა შორის მუზეუმში გამოფენილია საწერ მაგიდის სამკაული, ძვირფას ყდიანი პატარა წიგნაკი, შევერცხლილი და მწვანე მარმარილოს ქვაზე დამაგრებული. ეს საჩუქარი იუბილიარს მიართვა საჩხერის ქართველ, ებრაელ და სომეხ ქალთა საერთო წრემ.

—

აკაკი ბაქოში. აკაკი გუშინ ბაქოში წავიდა. დღესასწაულს ბაქოელები გამართავენ ხვალ, 21 დეკემბერს. დღესასწაულს ხელმძღვანელობს ბაქოს ქართულ საზოგადოების გამგეობა.

—

ფასანაური (საქართველოს სამხედრო გზა). 7 ქრისტეშობისთვეს ფასანაურში, როგორც წინადვე იყო დადგენილი, მოვიდნენ სოფლებიდან ქართველი მღვდლები (ადგილობრივი მღვდელი რუსია) და წირვის შემდეგ გადაიხადეს პარაკლისი აკაკის სადღეგრძელოდ. პარაკლისის დროს ქართულად გალობდნენ სამრევლო სკოლის მოწაფეები. პარაკლისის შემდეგ მღვდ. კონსტანტინე კავკასიძეს უნდოდა სიტყვა წარმოეთქვა აკაკის შესახებ, მაგრამ ადგილობრივ ეკლესიის რუსმა მღვდელმა ამისი ნება არ მისცა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მღვდელ კაზანსკის უნდოდა ქართველ მღვდლებისთვის საეკლესიო სამოსელი არ მიეცა და მით ხელი შეეშალა პარაკლისის გადახდისათვის, მაგრამ საწადელს ვერ მიაღწია. შემდეგ გაიგზავნა ტფილისში აკაკის სახელზე მისალოცი დეპეშა. უნდოდათ ტფილისში დელეგატი გაეგზავნათ, მაგრამ უსახსრობისა გამო ვერ მოახერხეს. საკვირანტეთო რვეულებით ფონდისთვის ფულის შეგროვება იკისრეს გიგო კობაიძემ და ილიკო აფციაურმა.

ფონდის გასაძლიერებლად ფული შემოსწირეს: გიგო სოლ. კობაიძემ—3 მან., მღ. რაჟდენ თურქაძემ—2 მ., მღ. ეფიმე ჩოხელმა—2 მ., მღ. მოსე კავკასიძემ—1 მ. 50 კ., მომრიგებელმა შუამავალმა გიორგი ი. ყიფიანმა—1 მან., ბესარიონ მამისაშვილმა—1 მ., დეკ. დიმიტრი მეტრეველმა—1 მ., მღ. გიორგი გელაძემ—1 მან., მღ. სიმონ ბაკურაძემ—1 მ., მღ. ალექსი გვიანიშვილმა—1 მ., მღ. გრიგოლ სიანაიძემ—1 მ., მღ. დიმიტრი კაზანსკიმ—1 მ., გ. კუიუმჩიბაშევმა—1 მ., კატო ოზიაშვილისამ—1 მ., კოტე კორძაიამ—1 მ.; მასწავლებელმა დარია ლუკიანოვის ასულმა—1 მ., ილია ზაკტრევმა—1 მ., ადამ ჯალაბაურმა—1 მ., პავლე აბულოვმა—1 მან., გიორგი ბექაურმა—1 მ., მათე ჯანიაშვილმა,—1 მ., ვასილ ქავთარაშვილმა—1 მ., ნიკოლოზ ნარიმანიძემ—1 მ., ნიკოლოზ პარკაძემ—1 მ., გიორგი ბუზუკურმა—60 კ., მღ. გიორგი სირაძემ—50 კ.; მედავითნეებმა: სიმონ ნავაძემ—50 კაპ., თევდორე ბუზუკურმა—50 კ., ლავრენტი შიოშვილმა—30 კ. და დავით კობაიძემ—20 კ., შიო ქავთარაშვილმა—50 კ., პავლე აფციაურმა—50 კ., ანდრია ქავთარაშვილმა—50 კ., გიგოლა წიკლაურმა—50 კ., იოსებ ლაზიაშვილმა—50 კაპ., შიო კაიშაურმა—50 კ., ვლადიმერ სვიანიძემ—50 კ., მაშო კობაიძემ—50 კ., ანნა ტუღინამ—50 კ., თამარ წიკლაურმა—50 კ., ნიკო წიკლაურმა—50 კ., ნიკოლოზ კობაიძემ—50 კაპ., ივანე თუჯიშვილმა—50 კ., გრიშა მარინაშვილმა—50 კაპ., ივანე გუდიევმა—30 კ., გიორგი ქავთარაშვილმა—30 კ., გაბო ელიშაკოვმა—20 კ., დავით გაგიძემ—20 კ., ილიკო აფციაურმა—20 კ., სოლომონ ბექაურმა 10 კაპ.

სულ შესდგა 39 მან. და 40 კაპ. აქედან დეპეშის და ფულის გაგზავნაში დაიხარჯა 1 მან. 40 კაპ., დანარჩენი 38 მანეთი საკვირანტეთო რვეულებით გადაეცა დუშეთის საიუბილეო კომიტეტს.

ქ. კია.

—

დ. ზუგდიდი. 7 დეკემბერს ადგილობრივ სკრებულო დარბაზში (კლუბში) კნ. ციცინო ერისთავის გამგეობით გამართული იქნა სალიტერატურო საღამო მცხოვან მგოსნის აკაკი წერეთლის მოღვაწეობის აღსანიშნავად. საღამო დაიწყო ბ. ნ. ქურციას რეფერატით. შემდეგ წარმოდგენილ იქნა აკაკის დრამა: „ახალი გმირი“. მერე გამართა დივერტისმენტი ბ-ნ ვეკუას ხელმძღვანელობით. მღეროდნენ სხვა და სხვა ქართულ სიმღერებს და კითხულობდნენ აკაკის ლექსებს. დასასრულ, დადგმულ იქნა ცოცხალი სურათი აკაკის ლექსიდან „სამზარი“. საღამოს წმინდა შემოსავალი და აგრეთვე ხელის მოწერით შეგროვილი თანხა უნდა მოხმარდეს დ. ზუგდიდში აკაკის სახელობაზე განზრახულ ბიბლიოთეკა—სამკითხველოს. ხალხი საღამოს ძალიან ბლომად დაესწრო, ასე რომ უადგილობის გამო ბევრი უკანვე გაბრუნდა.

ფ. ფ.

—

დ. ჩხარი. დაბა ჩხარში იუბილეს დღეს გამართულ იქმნა სალიტერატურო დილა, რომელსაც ხალხი ბლომად დაესწრო. ი. აბესაძემ წაიკითხა აკაკის ბიოგრაფია. ნ. აბესაძემ დაახასიათა აკაკის და მისი პოეზიის მნიშვნელობა. ნიკ. ლუტიძემ წაიკითხა რეფერატი შემდეგ თემაზე „აკაკი და მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობა“. შემდეგ მოსწავლე ვაჟებმა და ქალებმა წაიკითხეს აკაკის რჩეული ლექსები. უფრო ამან კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ხალხზე. კომისიას აზრადა აქვს აკაკის სახელზე დაარსოს წიგნთ-საცავ-სამკითხველო, თუმცა გასაკვირველია, რომ აქამდის დ. ჩხარი მოკლებულია სამკითხველოს.

9 დეკემბერს სოფელმა ალისუბანმაც იდღესასწაულა აკაკის ორმოცდა ათის წლის მოღვაწეობის იუბილე. ადგილობრივმა მასწავლებლებმა გამართეს სალიტერატურო დილა. ხალხი ბლომად დაესწრო. აკაკის ბიოგრაფია წაიკითხა სკოლის მმართველმა, ხოლო მასწავლებელმა—ლექსი. ლექსები წაიკითხეს მოწაფეებმაც.

დამსწრე.

—

ბორჯომი. 7 დეკემბერს მჟავე წყლის დარბაზში იუბილეის გამო გამართულ იქმნა სალიტერატურო დილა. ხალხი იმდენი შეგროვდა, რომ დარბაზში ტევა არ იყო. ვლ. ყიფიანმა ქართულად და მასწავლ. გიორგი ფამაკიძემ რუსულად წაუკითხეს აკაკის ბიოგრაფია და აღნიშნეს მისი ლიტერატურული მოღვაწეობა. შემდეგ წარმოადგინეს აკაკის „თამარ ცბიერი“-დან მე 3 და მე 4 მოქმედება. წარმოდგენამ კარგად ჩაიარა. მერე წაიკითხეს აკაკის რჩეული ლექსები. ბოლოს, მომღერალთა გუნდმა, ცალკე ბავშვებისა და ცალკე დიდებისამ, შეასრულა რამდენიმე სიმღერა. იუბილიარის სურათი შემკული იყო გვირგვინით და მწვანე ფოთლებით. ხალხს წასვლის დროს უფასოდ დაურიგეს აკაკის რჩეულ ლექსთა კრებული. ტფილისში იუბილიარის პირადად მისალოცად ბორჯომის ხეობის ქართველობამ გაგზავნა გლეხი თედიაშვილი.

დამსწრე

—

განჯა. 14 დეკემბერს ადგილობრივ სამოქალაქო სასწავლებლის დიდ დარბაზში იუბილიარის პატივსაცემად გამართა სალიტერატურო დილა. დაესწრნენ ადგილობრივი ქართველობა და ზოგიერთ სხვა ეროვნების წარმომადგენლები. ქალ-ვაჟთა ხორომ, ივანიშვილის ლოტბარობით, შეასრულა სიმღერები. მასწავლებელმა კვიტაშვილმა ქართულად დაახასიათა დიდი აკაკისა. შემდეგ მან თავისი რეფერატი რუსულად გაიმეორა. ბოლოს წაიკითხეს ქართულად და რუსულად აკაკის ლექსები. დარბაზის შესავალ კარებთან იყიდებოდა მგოსნის დიდი სურათები და რიგდებოდა ამდღისათვის გამოცემული პატარა წიგნაკები. აკაკის სურათი, სხვათა შორის, თათრებმაც შეიძინეს.

—

ცაგერი. (ლეჩხუმის მაზრა). თოთხმეტს ნოემბერს კნ. ტ. გელოვანისა და ბ-ნი ლ. მახარაძის მეთაურობით, აქ წარმოდგენა გამართა აკაკის ფონდის სასარგებლოდ. წარმოადგინეს ავ. ცაგარლის „ხანუმა“. ხალხი კარგა ბლომად დაესწრო და რომ ავდარს ხელი არ შეეშალა უფრო მეტი დაესწრებოდა. წარმოდგენამ საზოგადოდ რიგიანად ჩაიარა.

7 დეკემბრის იუბილეშიც მიიღო მონაწილეობა ცაგერმა. გადახდილ იქმნა პარაკლისი. შემდეგ საზოგადოება გაემართა სასწავლებლის შენობისაკენ, სადაც საბავშვო სალიტერატურო დილა იყო დანიშნული. აქ მღ. მარგიანმა მოკლედ გააცნო საზოგადოებას აკაკის ბიოგრაფია, შემდეგ მოსწავლე ახალგაზრდობამ იმღერა, წაიკითხეს იუბილიარის ლექსები და არაკები, რითაც საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანეს. წარმოდგენისა და გასამასაგან შემოსული ფული ასი მანეთი, რაიცა ხარჯს გარდა დარჩა, გარდაეცა წ. კ. საზოგადოებას. სამწუხაროდ, დეპუტაციის გაგზავნა ვერ მოხერხდა უგზოობის გამო. 22 ნოემბერს აქ უკვე ერთ საჟენზე მეტი თოვლი იყო.

უცხერელი.

—

აბაშა (სენაკის მაზრა). იუბილეი აქაც გადაიხადეს. 11 საათზე ადგილობრივ სკოლაში შეიკრიბა დიდძალი საზოგადოება და 600 მოწაფე თავის მასწავლებლებით. ეს ამდენა ხალხი ეკლესიაში გაემართა. წინ მიუძღოდა ხორო და მიჰქონდათ მგოსნის დიდი სურათი, დაფნით შემკობილი. გადაიხადეს პარაკლისი. მ. ფ. შობაძემ წარმოსთქვა სიტყვა მგოსნის შესახებ. ეკლესიიდან საზოგადოება გაემართა თეატრის დარბაზში, სადაც გაიმართა ბავშვების დილა. ვ. ქობულიამ წაიკითხა რეფერატი. შემდეგ მოწაფეებმა წაიკითხეს აკაკის ლექსები. ხალხი ნასიამოვნები დაბრუნდა.

დამსწრე.

—

სოფლებში. დაბა-ქალაქებს გარდა აკაკის იუბილე ბევრ სოფელშიაც გადაიხადეს. წაუკითხეს ბიოგრაფია, ლექსები, უმღერეს და სხვ. პარაკლისი ხომ თითქმის ყველგან გადაიხადეს. როგორც ჩვენ გვატყობინებენ, იუბილეის დღე აღუნიშნავთ სოფლებს რგანში (შორაპნის მაზრა), ხეთაში (ზუგდიდის მაზრა), ხევში (ნოხსტურის საბოქაულოში), სვერში და ზედაიღმეში (შორაპნის მაზრა) და სხვაგან.

—

საზღვარ-გარედ. ბელგიურ გაზეთ la meuse'ში დაბეჭდილია გიორგი დარახველიძის წერილი აკაკის სალიტერატურო მოღვაწეობაზე. წერილში მოკლედ არის მოხსენებული მგოსნის ბიოგრაფია და მისი დამსახურება სამშობლო ლიტერატურის წინაშე.

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

19 დეკემბერი.

მიწის ძვრა იტალიაში

რომი. „მესაჟერის“ სიტყვით, რეჯიო-დე-კალაბრიის პრეფექტს, რომელსაც მოკლულად სთვლიდნენ, განუცხადებია: ქალაქს თავი მაშინ დავანებე, როდესაც თითქმის ყველა სახლი დაინგრაო. ქალაქის შუაგული მთლად დანგრეულა, გადარჩა მხოლოდ პატარა ვილები, რომლებიც ქალაქის მაღლობ ადგილებზე ყოფილან აშენებულნი. ციუ, ლიცეი და სობორო სულ მთლად დანგრეულან, დაღუპულა ლიცეის თითქმის ყველა მოწაფენი. ფიქრობენ აგრეთვე, რომ ყაზარმებიც დაინგრა და სალდათები დაიღუპა. ქალაქის საბჭოს სადგომის შესახებ სხვა და სხვა ხმა დადის. რეჯიოდან გამოქცეულების სიტყვით, ადამიანთა მსხვერპლი აუარებელია; გადარჩენილნი მცხოვრებნი, ტიტველნი და მშიერნი ქალაქის მიდამოებში დახეტიალობენ.

მესინა. მოვიდა მეფის სახლობა. მეფე მოსვლისათანავე იქ წავიდა, სადაც უბედურება მოხდა, მან მადლობა გამოუცხადა იტალიის, ინგლისის და რუს მეზღვაურებს დაღუპულთა გადარჩენისთვის. დედოფალმა დაჭრილები ინახულა გემზე. მეფემ დაათვალიერა აგრეთვე რეჯიო.

რომი. ავგუსტის ნავთ-სადგურში მესინაში რუსეთის ორი გემი კიდევ წავიდა. პაპმა გადასდო არისტოკრატების მიღება, რომელიც 22 დეკემბრისთვის იყო დანიშნული, და ბრძანა, შესრულებულ იქმნას დაღუპულთა სულის მოსახსენებლად წირვა. საზოგადოება მხნეობას იჩენს დაზარალებულთა საშველად. სახელმწიფოში სამგლოვიარო მანიფესტაციებსა ჰმართავენ.

რეჯიო. ლაცრამდე მიდამოები მთლად დაცარიელდა. გლეხების სახლებიდან აღარაფერი დარჩა, რადგან ნანგრევები ზღვის ტალღამ წალეკა. ფორთოხლის ჭალა სულ განადგურებულია. კალაბრიაში დაინგრა 18 დაბა და რამდენიმე სოფელი.

ბერლინი. „ბერლინერ ტაგებლატს“ რომიდან დეპეშით ატყობინებენ: გემის „ადმირალ მაკაროვის“ საგმირო მოქმედებით ყველანი აღტაცებულნი არიან. რუსებმა, სხვათა შორის, ნანგრევებიდან გადაარჩინეს იტალიის ბანკის კასსა—ოცი მილიონი ფრანკი.

სოფია. სახალხო კრებამ იტალიის პარლამენტს მწუხარების დეპეშა გაუგზავნა.

ბერლინი. რეიხსტაგის პრეზიდენტმა იტალიის პარლამენტის პრეზიდენტს მწუხარების დეპეშა გაუგზავნა.

სოფია. გარეშე საქმეთა მინისტრმა მთავრობისა და ერის სახელით ტიტონის მწუხარების დეპეშა გაუგზავნა.

ლონდონი. რეიტერის სააგენტოს თეირანიდან ატყობინებენ, რომ ბაზრები კვლავ გაიღოო. შაჰმა ლიბერალების გამოჩენილი მეთაური საუდ-დოულე დაიბარა მდგომარეობის გამოსარკვევად.

თეირანი. მეჯიდ-დოულეს მეჩითში შეფარებულმა და მისმა მომხრეებმა კონსტიტუციის საწინააღმდეგო დემონსტრაცია გამართეს. წაიკითხეს პროვინციის მუშტეიდების დეპეშები, რომელნიც კონსტიტუციას ჰგმობენ. შაჰს თხოვნა გაუგზავნეს, კონსტიტუცია ნუ აღადგინო.

თავრიზი. (ჯულფიდან ფოსტით). ქალაქის მახლობლად 15 სპარსელი ყაზახი გამოჩნდა. ეინუდ-დოვლემ ქალაქს შეუთვალა ხუთი დღის განმავლობაში დამნებდითო. მარაღის გუბერნატორი 2,000 ცხენოსნით წავიდა ეინუდ-დოვლესთან შესაერთებლად.

ოსმალეთი

კონსტანტინოპოლი. პალატაში შეკითხვა შეიტანეს ავსტრიასთან მოლაპარაკების შესახებ. შეკითხვის განხილვა გადასდეს. გამოცხადებულია, რომ ხვალ დეპუტატები სულთანთან სადილად არიან მიწვეულნი.

კონსტანტინოპოლი. დეპუტატთა პალატამ მიიღო შეკითხვა საგარეო პოლიტიკის შესახებ და უკვე გაუგზავნა დიდ ვეზირს. ყურბან-ბაირამის დღესასწაულის გამო პალატა ათის დღით დაიხურა.

ბალკანეთი

ვენა. „კორესპ. ბიუროს“ სარაევოდან დეპეშით ატყობინებენ, რომ როსტარიდან სარაევოში მოსული „ნოვოე ვრემიას“ კორესპონდენტი ბოსნიიდან გააძევესო.

ბუდაპეშტი. „პესტ. ლლოიდში“ მოთავსებულია წერილი ავსტრიის

ფელეტონი

უცხოთა შორის

საშინელი უბედურება იტალიაში.—თხუთმეტი ათას მოსწავლის გაფიცვა და ბოიკოტი.—ლოთობა და მეტრაქტირე ლორდები.—ახალი საშუალება ბოიკოტებისა და გაფიცვების წინააღმდეგ.

საზარელი და საშინელი უბედურება დაატყდა თავს იტალიას: ამ ოთხიოდე დღის წინად მიწის-ძვრამ მიწასთან გაასწორა რამდენიმე ქალაქი და სოფელი. დეპეშა ჯერჯერობით კანტი-კუნტ ცნობებს გვაწვდის. ეჭვი არ არის, ამ დღეებში გაზეთები სრულ ამბებს მოგვიტანენ და მაშინ დაწვრილებით გავაცნობთ მკითხველებს ამ უბედურებას. მაგრამ რასაც დეპეშები გვაწვდიან, იქიდანაც-კი სჩანს, რა აუწერელი ჯოჯოხეთი დატრიალებულა იტალიაში. ამ მიწის-ძვრას ორიოდე წუთში მარტო ადამიანი ასი ათას სულზე მეტი უმსხვერპლნია. ახლა თქვენ თითონ ივარაუდეთ, რამდენი პირუტყვი დაიღუპებოდა, რამდენი სახლი დაიქცეოდა და რამდენი სხვა უბედურებოდა დატრიალდება.

ეს ტრაგედია საზარელია უფრო იმით, რომ იგი მოულოდნელი იყო. ხალხი თავისთვის სცხოვრობდა, შრომობდა, შეჰხაროდა მზეს, მაგრამ უცბად დაუქროლა ბუნების ულმობელმა და საშინელმა სტიქიონმა და ყველაფერს ბოლო მოუღო—თვალის დახამხამებაზე მიწასთან გაასწორა უზარ-მაზარი, სისხლითა და ოფლით აგებული სახლები, გაჰქრო ათასის წლობით შეგროვილი და შექმნილი საუნჯე ადამიანის გონებისა, გაასწორა ნათესი და უთესი, თითქმის მთა და ბარი. ვერა ომი, ჭირი და ჟამი ამ უბედურებას ვერ შეედრება. ადამიანი აქ ყოვლად უძლური და უსუსურია. რა არის ამ საერთო, ბუნების დაუნდობლობით გამოწვეულ ტრაგედიასთან შედარებით ჩვენი კერძო უბედურება, შედეგი ურთ-ერთის მტრობისა, გაუტანლობისა და შურისა!..

მიწის-ძვრა მოხდა იტალიის სამხრეთ ნაწილში, ორ პროვინციაში—კალაბრიისა და სიცილიაში. სიცილია კუნძულია და თითქმის ზედ აკრავს კალაბრიის პროვინციის, რომელიც აპენინის ნახევარ კუნძულის სულ ბოლოში მდებარეობს. სიცილიისა და კალაბრიის ჰყოფს ვიწრო სრუტე, და მიწის ძვრა სწორედ იმ ადგილებში მოხდა, რომელიც ამ სრუტეს აქეთ-იქიდან აკრავს. იმ გარემოებამ, რომ მიწისძვრა ზღვის მახლობლად მოხდა, უბედურება გაართკეცა: აღელვებულ ზღვის ტალღები სცემია ნაპირზე მდებარე ქალაქ-სოფლებს და სულ ერთიან წაულეკია. რაც კერძოდ მიწის ძვრას და ზღვის ტალღას გადარჩენია, ის ცეცხლს შეუსია. ასე დაღუპულა რამდენიმე პატარა ქალაქი, დაბა და სოფელი და ასეთივე საქმე დამართნია დიდ ქალაქს მესსინას.

მესსინა, პალერმოს შემდეგ, სიცილიაში მეორე ქალაქია სიდიდით, ვაჭრობით და სწავლა-განათლებით. მესსინის ფორთოხალი მთელ დედამიწაზე განთქმული და, ეჭვი არ არის, მისი სახელი ჩვენშიაც ბევრს ექნება გაგონილი. ამ ქალაქში ასი ათას მცხოვრებზე მეტი იყო. იქ არსებობს, ანუ უკვე არსებობდა, უნივერსიტეტი, სამეცნიერო და სამხატვრო აკადემიები, მდიდარი მუზეუმები, მრავალი საშუალო სასწავლებელი და სხვა. აი, ეს ქალაქი დღეს ნანგრევების გროვას წარმოადგენს თურმე. მიწის-ძვრისაგან გაჩენილი ცეცხლი რამდენიმე დღე მუსრს ავლებდა ქალაქს, ხოლო ზღვიდან გამოქანებულ უზარმაზარ ტალღას ნახევარ ქალაქის თავზე გადაუვლია...

ისტორიას რამდენიმე საზარელი მიწის-ძვრა ახსოვს, მაგრამ მგონი ეს უკანასკნელი ყველაზე საზარელი და საშინელი გამოდგება. უკანასკნელ ოთხი-ხუთი საუკუნის განმავლობაში ყველაზე ძლიერი და საშინელი მიწის-ძვრა მოხდა ლისაბონში 1755 წელს, როდესაც კერძოდ მიწის-ძვრისაგან დაიღუპა ოცდა ათი ათასი კაცი, ხოლო ზღვის ტალღისაგან, რომელმაც აგრეთვე ქალაქს გადაუარა და ახლო-მახლო ადგილებს მოედო—სამოცი ათასი კაცი. ეხლა კი, როგორც დეპეშები გადმოგვცემენ, ასი ათასს კაცზე მეტი დაღუპულა.

⁂

და ადამიანები არა სჯერდებიან ამ გარეშე მტერს და მაინც ერთმანეთს ელეტავენ, სტანჯავენ და უწამლავენ იმ ორიოდე დღის სიცოცხლეს, რომელიც მათთვის ბუნებას მიუნიჭებია. საითაც გაიხედავ, ყველგან ჯოჯოხეთია, ყველგან ერთის ბატონობაა და მეორის ჩაგვრა, ერთის განცხრომა და მეორის შიმშილით სიკვდილი. ერთისთვის სრა-სასახლეები და ბრწყინვალე დარბაზებია, მეორისთვის მიწურები და ქოხები... ბრძოლა, დაუსრულებელი ბრძოლაა ყველგან გამეფებული.

კვლავ უნდა დაუბრუნდე ავსტრიას, სადაც, სხვა სიკეთე იკითხეთ, თორემ ბრძოლის ნიმუშებს მრავლისაგან მრავალს იპოვნით.

წინად უკვე მოგახსენეთ იმ შეტაკებებზე, რომელიც გერმანელებსა და ჩეხებს შორის მოხდა. შეტაკება და ბრძოლა ამ ორ ერს შორის ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა, რადგან არც გერმანელები უთმობენ და არც ჩეხები. ეხლა ჩეხებმა იმ იარაღს მიმართეს, რომელიც ამ ბოლო დროს დაჩაგრულთა და დაბრიყვებულთა საუკეთესო ფარ-ხმალად გადაიქცა. მე მოგახსენებთ ბოიკოტზე. სხვების მაგალითით წაქეზებულმა ჩეხებმა სასტიკი ბოიკოტი გამოუცხადეს ყველა იმას, რასაც გერმანელების ბეჭედი აზის. ბოიკოტის ინიციატორი და ავან-ჩავანი იგივე კლოფაჩია, რომელიც უკანასკნელ ამბების დროს მეთაურობს ჩეხებს. გერმანელებს დღეს ყველაზე მეტად ეს კაცი ეჯავრებათ. კლოფაჩი ანტიქრისტეაო, გაიძახიან ერთნი; კლოფაჩი—სახელმწიფო მოღალატეაო, ამბობენ მეორენი. ასეა თუ ისე, კლოფაჩმა და მისმა რადიკალმა პარტიამ მოაწყო ბოიკოტი და ამ ბოიკოტს ეხლა სასტიკად იცავენ ჩეხები.

ბოიკოტი ბავშვების გაფიცვით დაიწყო. ჩრდილოეთ ბოჰემიაში ჩეხები უმცირესობას შეადგენენ. აქ თითქმის სულ გერმანელები სცხოვრობენ და დიდძალი ფაბრიკა-ქარხნებიცა აქვთ. ამ ქარხნებში, სხვათა შორის, ის ჩეხებიც მუშაობენ, რომელთაც თავიანთ პროვინციებში სამუშაო ვერ უშოვნიათ. აი სწორედ ამ მუშების ბავშვები, რიცხვით თხუთმეტი ათასი სული, გაიფიცა ამას წინად. მათ უარი სთქვეს გერმანელების სკოლაში სიარულზე და მოითხოვეს თავიანთვის ეროვნულ სკოლების დაარსება. ამის შესახებ ერთი გაზეთის კორესპონდენტი სწერს: „საკვირველი არაფერია, რომ ჩეხებს არ უნდათ თავიანთი შვილები გაგზავნონ გერმანულ სკოლებში, რომელთა უმთავრესი მიზანიც გერმანიზაციაა. ის ბავშვი, რომელიც გერმანულ სკოლაში დადის, დაკარგულია ჩეხებისათვის. ეს ჭეშმარიტება ათი და ოცი წლის გამოცდილებამ დაანახვა ჩეხებს და მათ ეხლა, ამ სასტიკ ბრძოლის დროს, აღარ უნდათ დაჰკარგონ აღარც ერთი მებრძოლი ეროვნულ დამოუკიდებლობისათვის“.

ამ გაფიცვის შემდეგ მთავრობა დაჰპირდა ჩეხებს საკუბა არაფრად თარ სკოლების დაარსებას. მთავრო ჩააგდებდა ბავშვების გაფიცვას, მაგრამ მან გამოცდილებით იცის, რომ მთელი ჩეხია დაუჭერდა მხარს და, ამ რიგად, ისედაც აწეწილ-დაწეწილი საქმეები უფრო აეწეწებოდა.

გაფიცვას ბოიკოტი მოჰყვა. ბოიკოტის მომწყობებმა მთელი ლიტერატურა გამოსცეს და შესაფერის პროკლამაციებით აავსეს ჩეხია. ჩეხებისათვის ბრძანება და დაშინება საჭირო არ არის, საკმაოა ერთი სიტყვა, რომ ყველამ აასრულოს. კაცი აღარ არის დღეს ჩეხიაში, რომ გერმანელ საქონელს ყიდულობდეს, თუნდაც სულ უმნიშვნელოს. მთავრობა სწრაფად დაფაცურდა: იჭერს და ანადგურებს გაზეთებს, წიგნაკებს, პროკლამაციებს, სადაც ბოიკოტის პრაპაგანდაა. მაგრამ ამით ვერასა ხდება—ჩეხები უპრაპაგანდოდაც კარგად იცავენ ბოიკოტს. საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ჩეხიაში ყველა პროფესიის ხალხს—მუშებს, ხელოსნებს და სხვებს—კავშირები და საზოგადოებანი აქვთ. ბოიკოტის იდეის უმთავრესად ეს კავშირები და საზოგადოებანი იცავენ...

⁂

ავსტრიაში თუ ჩეხები აცხადებენ ბოიკოტს, ინგლისში თავისებური ბოიკოტი ბრწყინვალე ლორდებმა გამოაცხადეს. მათ მთავრობის ერთ კანონ-პროექტს გამოუცხადეს ბოიკოტი და ლორდთა პალატაში გააშავეს კიდეც.

ინგლისში საშინლად არის გავრცელებული ლოთობა. ყოველ წლივ მილიარდ-ნახევარი მანეთი იხარჯება მაგარ სასმელებზე. დიდი ხანია პროპაგანდაა იქ ლოთობის წინააღმდეგ. ბოლოს, მთავრობამ შეადგინა კანონ-პროექტი, რომლითაც უნდა შეზღუდულიყო მაგარ სასმელების ვაჭრობის დრო. ამ კანონ-პროექტით უფლება არავის ექნებოდა, დანიშნულ საათებს გარეშე ევაჭრა მაგარ სასმელებით. კანონ-პროექტმა მშვიდობიანად გაიარა საზოგადოებათა

მიერ ოსმალეთის სახელმწიფოს ვალის ნაწილის მიღების შესახებ. გაზეთი სწერს: ავსტრია ამ მოთხოვნას უკუ აგდებს, მიუხედავად ოსმალეთისადმი სიმპატიისა. შემდეგ გაზეთი ამბობს, რომ ოსმალეთის სახელმწიფო მოღვაწენი ავსტრიის უძლურებით ხსნიან ერენტალის მხრივ სანჯაყის დაბრუნების წინადადებას კაპიტულიაციის მოსპობის და სადამოჟნო გადასახადების აწევის შესახებ. ეს დიდი შეცდომაა: იმპერიის დამშვიდებით შეუძლიან მოუცადოს ოსმალეთის მინისტრების გამოფხიზლებას. ამასთან ბოლგარეთის აღელვებული და მაკედონიის გამოურკვეველი მდგომარეობა და აგრეთვე სხვა და სხვა გარემოება იმდენად საშიშია, რომ ოსმალელთა მტრული შეხედულება ავსტრიაზე დიდხანს ვერ გასტანს.

საზღვარ-გარედ

ბუდაპეშტი. სოციალისტურმა და პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა დაადგინეს, გამოაცხადონ ერთი დღის გაფიცვა ლითონის და ხის მომუშავეთა ორგანიზაციის დახურვისა გამო. მუშაობა უკვე შესწყვიტა წისქვილის ოთხი ათასმა მომუშავემ და გემთ-საკეთებელის ათასმა მუშამ.

რუსეთი

მოსკოვი. 121 არჩეულ ხმოსნიდან 51 ოქტომბრისტი და მონარხისტია, 50 პროგრესისტი 13 უპარტიო.

პეტერბურგი. სახელმწიფო საბჭოს წევრი გენერალ-ლეიტენანტი ტრეპოვი დაინიშნა კიევის, პოდოლის და ვოლინის გენერალ-გუბერნატორად.

გრადონაჩალნიკის განკარგულებით გაზეთ „რუსკ. ზნამია“-ს რედაქტორი დუბროვინი მასონების ლეგალიზაციის შესახებ წერილის დასტამბვისთვის ათასს მანეთით დააჯარიმეს.

კიევი. ვასილიევის მაზრაში გლეხები გრაფინია ბრანიცკაიას ტყეს სჩეხენ. ტყის მცველებს გლეხებმა თოფები დაუშინეს. საქმის გამოსაძიებლად ადგილობრივ წავიდა ისპრავნიკი დარაჯებით.

რიგა. დააპატიმრეს ლატიშთა სოციალ-დემოკრატების ალექსანდროვის რაიონის კონფერენცია. კონფერენციაში მონაწილეობას იღებდა 15 მამა-კაცი და 4 ქალი. ნახეს ანგარიშები, მიწერ-მოწერა და სხვა საბუთები. კონფერენციის კრებები იმართებოდა ქალაქიდან 12 ვერსის მოშორებით, ტყის მიყრუებულ ადგილში.

ლოძი. პოლიციამ დააპატიმრა რამდენიმე კაცი, რომელნიც რევოლიუციის დროს პარტიაში მოსამართლეების როლს ასრულებდნენ.

პეტერბურგი. სენატმა მოისმინა შემდეგი საქმეები: 1. საჩივარი პევერასი, რომელიც გრაფ ვიტტეს 39,000 მანეთ ზარალს ედავება, იმის გამო, რომ ვიტტეს მინისტრობის დროს კრუპა „გერკულეს“ ზედმეტი სადამოჟნო გადასახადი გადაახდევინეს; 2. ბელომერტნიზისა, რომელიც იმერ-ბაიკალის გენერალ-გუბერნატორს სიჩევსკის უჩივის სალდათებისაგან ნაყიდ საქონის კონფისკაციისათვის, რასაც 2300 მანეთის ზარალი მოუტანია მომჩივრისთვის; 3. კაზლოვსკისა, რომელიც კრონშტატის ყოფილ უფროს ივანოვს უჩივის დუქნის დაკეტისთვის და კრონშტატიდან გაძევებისთვის, რასაც მისთვის 13000 მანეთის ზარალი მოუტანია. სენატმა სამივეს უარი უთხრა საჩივარზე. იმავე სხდომაზე სენატმა განიხილა სახლის-პატრონის რაგოზინსკაიას სააპელაციო საჩივარი მოსკოვის სამოსამართლო პალატის დადგენილებაზე. რაგოზინსკაია უჩიოდა ლეფორტოვის ნაწილის პირველ უბნის ბოქაულს, რომელსაც იმას სახლიდან მდგმურები გაუყვანია, თუმცა მომრიგებელ მოსამართლის განაჩენით უნდა გაეყვანა მხოლოდ ნაწილი მდგმურებისა. სენატმა მოსკოვის სამოსამართლო პალატის განაჩენი გააუქმა და დაადგინა, საქმე ხელახლა გაირჩეს.

ვარშავა. გარდაცვალებულთა გვამების დაწვის მომხრეებმა დაადგინეს, დაარსონ საზოგადოება. შესაფერ შენობის ასაგებად არჩეულ იქმნა კომიტეტი.

პეტერბურგი. პეტერბურგის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის ამხანაგი ბოკშა დაინიშნა ბაქოს ოლქის სასამართლოს თავმჯდომარედ.

ოდესსა. სამოსამართლო პალატის განაჩენით საგლეხო ბანკის განყოფილებაში ფულის გაფლანგვისათვის მიესაჯათ: ყოფილ უფროსს ბუხპალტერს 8845 მანეთის გაფლანგვისათვის და სხვა ბოროტ-მოქმედებისათვის 3 წლით ტუსაღთა განყოფილება, ექიმს და ორ მოქალაქეს ხელის შეწყობისათვის—ერთის წლით ტუსაღთა განყოფილება და ერთს—ერთის წლით და 4 თვით ტუსაღთა განყოფილება. ოთხი გაამართლა.

გრადონაჩალნიკის წინადადებით ქალაქის საბჭომ დაადგინა, მომავალ წლის აღრიცხვაში პოლიციის შტატის გასაძლიერებლად 50,000 მანეთი შეიტანოს.

ტამბოვი. ბორისოგლებსკის მაზრაში, როდესაც საგლეხო ბანკის დამფასებლები მამულს აფასებდნენ მათ თავს დაეცა ოთხი შეიარაღებული ბოროტ-განმზრახველი. წაიღეს 295 მანეთი. ბოროტ-განმზრახველები ერთ სახლში დაიმალნენ. ამ სახლის გაჩხრეკის დროს მათ სოფელ უვაროვის ზედამხედველი დასჭრეს და გაიქცნენ. სახლის-პატრონი დააპატიმრეს.

ტაშკენტი. გენერალ-ადიუტანტი მიშჩენკო წავიდა. იმის მოვალეობის დროებით ასრულებას გენერალი კონდრატოვიჩი შეუდგა.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **სახალხო უნივერსიტეტი.** 18 დეკემბერს მოხდა ტფ. სახალხო უნივერსიტეტის ქართულ, სომხურ, რუსულ და სხვა ეროვნებათა სექციების შეერთებული სხდომა. ლაპარაკი იყო გამგეობის ახალ წევრების არჩევაზე. წევრებს ჯერ სამსახურის ვადა არ გასვლიათ, მაგრამ, როგორც ვიცით, ზოგი წევრი დაპატიმრებულია, ზოგიც გულგრილად ეკიდება საქმეს. ამ საგანის გამო სხდომაზე ხანგრძლივი კამათი გაიმართა. უმრავლესობა იმ აზრისა იყო, რომ არჩევნები უსათუოდ უნდა მოხდეს 21 დეკემბრის საზოგადო კრებაზე. პრინციპიალურად საკითხის გადაწყვეტის შემდეგ კრება შეუდგა გამგეობის წევრთა კანდიდატების დასახელებას. ქართულმა და რუსულმა სექციებმა კრებას წარუდგინეს სია კანდიდატებისა. აღმოჩნდა, რომ სიების შედგენაში მონაწილეობისათვის მზად არ იყვნენ სომხური და სხვა სექციები. რადგან კრებამ საჭიროდ იცნო მომქმედ და შრომის მოყვარე გამგეობის არჩევა, სხდომამ დაადგინა, ნუ აჩქარდება კანდიდატების დასახელებაში. კანდიდატების საბოლოო სიის შესადგენად სექციათა შეერთებული სხდომა მოხდება დღეს, 20 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, სამეურნეო საზოგადოების სადგომში. შემდეგ ლაპარაკი იყო სექციების სახელმძღვანელოდ შემუშავებულ ინსტრუქციის პროექტის შესახებ. როგორც უკვე ვწერდით, სექციებს ავტონომიური უფლებანი არ ეძლევათ ამის შესახებ გამოჰკითხეს თვით სექციებს. რუსების სექციამ ავტონომიური უფლება მოითხოვა. ამ სექციის წევრებმა განაცხადეს: ჩვენ ავტონომია იმიტომ გვინდა, რომ უფრო მეტის მხნეობით ვიმუშაოთ. გარდა ამისა, ჩვენი ნამოქმედარი ანგარიშებში არა სჩანს. ჩვენ ვმუშაობთ საზოგადო საქმისათვის, ხოლო გამგეობა, შემდგარი უმეტესად ადგილობრივ მცხოვრებთა წარმომადგენლებისაგან, ჩვენს ნამოქმედარს ანგარიშებში არ აღნიშნავს. ხოლმე ჩვენი ფულიც ხარჯება და ყოველივე ეს გულს გვიცრუებსო. ქართულ სექციას უარი უთქვამს ავტონომიურ უფლებაზე. ამ სექციის წევრების განმარტებით, ავტონომია მავნებელი იქნება სახალხო უნივერსიტეტისათვის, ჯერ ერთი, იმიტომ რომ მატერიალური ძალა საზოგადოებისა დაიქსაქსება. გარდა ამისა, შეიძლება ერთი სექცია ავტონომიურ უფლების წყალობით ისე გაეფართოვდეს, რომ მთელი თავისი ძალა და ღონე თვის ეროვნულ საქმის აღორძინებას მოანდომოს, ეს კი სუსტი სექციისათვის, მაგ. ოსებისათვის, მავნებელი იქნებაო. ესეც არ იყოს, სექციებს გამგეობა ადგენს და რადგან პასუხის-მგებელი გამგეობაა საზოგადოების წინაშე და არა სექცია, ამიტომ სექციას ვერ მიეცემა უფლებანიო. ამ საგანმა ხანგრძლივი კამათი გამოიწვია. კრებამ დაადგინა, ამ საგანზე კამათი განაგრძოს 20 დეკემბერს.

◆ **შეკითხვა კავკასიის საქმეების შესახებ.** ბაქოს გაზეთ „კასპი“-ს პეტერბურგელი კორესპონდენტი დეპეშით იუწყება, რომ კამათი კავკასიის საქმეების გამო საშობაო დღესასწაულებამდე არ გათავდებაო. ფრაქციებმა უკვე შეიმუშავეს ფორმულები მორიგ საქმეებზე გადასასვლელად. ოქტომბრისტებსაც შეუმუშავებიათ ისეთი ფორმულა, რომელშიაც, სხვათა შორის, ნათქვამია, რომ კავკასიაში რევოლიუციონური კი არა, ავაზაკური მოძრაობააო. საჭიროა ამ ავაზაკურ მოძრაობის მოსასპობლად გავამრავლოთ საერობო დარაჯების (სტრაჟნიკების) რიცხვი და გამოვცვალოთ ის მოხელენი, რომელნიც ავაზაკებთან ბრძოლის დროს საკმაო მუყაითობას არ იჩენენო. კავკასიის დასამშვიდებლად ოქტომბრისტები საჭიროდ სთვლიან კავკასიაში განვითარდეს და გაფართოვდეს რუსეთიდან გადასახლების საქმე, აგრეთვე ადგილობრივი თვითმართველობის შემოღება, სადაც ეს შესაძლებელი აღმოჩნდება.

◆ **ხმები სამხედრო წესების მოხსნაზე.** გაზ. „ნოვ. რუს“-ის სიტყვით, პირველ იანვარს მოსალოდნელია ფრიად დიდმნიშვნელოვანი მთავრობის განკარგულება. რუსეთის 42 ადგილას სამხედრო წესებს მოხსნიან და მის ნაცვლად განსაკუთრებულ დაცვის წესებს შემოიღებენო.

◆ **კიდევ ჭინკანთხევის სკოლაზე.** ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორმა მისწერა წ.-კ. საზოგადოების გამგეობას, გამომიგზავნეთ დამატებითი ცნობები იმისა, თუ რა სასწავლო გეგმა იქნება მიღებული ართვინის ოლქის სოფელ ჭინკათხევში განზრახულ წერა-კითხვის სკოლაშიო.

◆ **თავის მოკვლა.** 18 დეკემბერს, ნაშუადღევის 2 ნახევარ საათზედ, „გრანდ ოტელის“ სასტუმროში ჩამომხტარმა ბორჩალოს მაზრის ბოქაულმა ილია ზაფიროპულომ გულში რევოლვერი დაირტყა და თავი მოიკლა.

◆ **მეურნეთა კრების გადადება.** ნამესტნიკმა ნება დართო კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას, მეურნეთა კრება 7 დეკემბრიდან გადატანილ იქნეს 1909 წლის 15—22 მარტისთვის.

◆ **განათლების ლიგა.** ამას წინად წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ პეტერბურგიდან განათლების ლიგისაგან მიიღო ქაღალდი. ლიგა სთხოვდა საზოგადოებას, მიიღოს მონაწილეობა ლიგის საზოგადო კრებაში, რომელიც ახლო მომავლისთვისაა დანიშნული. გამგეობამ დაადგინა, წარუდგინოს საზოგადო კრებას მოხსენება განათლების ლიგის მოწოდების შესახებ და აცნობოს ლიგას რომ სხვა და სხვ საპატიო მიზეზისა გამო საზოგადოება წელს ვერ მიიღებს მონაწილეობას ლიგის კრებაშიო.

◆ **ქართული ბიბლიოთეკა ლიეჟში.** ფრანგულ „გაზეთ „ლა მიუს“-ში სწერია: „ლიეჟის უნივერსიტეტის ქართველმა სტუდენტებმა დაადგინეს, დაარსონ ბიბლიოთეკა-სამსამკითხველო დიდებული პოეტის და აღმზრდელის აკაკი წერეთლის სახელობაზე“.

◆ **სახალხო თეატრი.** დღეს, საღამოს 7 ნახ. საათზე, ავჭალის აუდიტორიაში ქართულ თეატრის სექციის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად ახალი პიესა: „ქოჩრიანი ტოროლა“ დრამა ოთხ მოქმედებად. სექცია დაბეჯითებით სთხოვს საზოგადოებას, ნუ მოიყვანებენ თეატრში თორმეტ წლისაზე პატარა ბავშვებს, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ არ შეუშვებენ.

◆ **უმაღლეს კურსებზე.** დღეს, საღამოს 6 საათზე, უმაღლეს კურსებზე კავკასიის შესასწავლად (ალექსანდრეს ბაღი) სტ. ლისიციანი წაიკითხავს ლექციას სომხეთის ისტორიაზე.

◆ **ფოსტის გაცარცვა.** როგორც ვწერდით, გაცარცვეს ლენქორანის ფოსტა. ჩვენ ვწერდით, რომ 30 ათასი მანეთი წაიღესო. პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოს ცნობებით-კი 40,000 მანეთი წაუღიათო.

◆ **სამკითხველოები.** წერა-კითხვის საზოგადოებამ მიიღო შუამდგომლობანი გუბისა, საყულისა, პატრიქეთისა, ქვიტირისა, ფარცხანაყანევისა და მაღლაკის სოფლის საზოგადოებათა. ესენი თხოულობენ, სახალხო ბიბლიოთეკა-სამკითხველოების დაარსებას. გამგეობამ დაადგინა, წინადადება მისცეს აღნიშნულ საზოგადოებათა წარმომადგენლებს, იზრუნონ სამკითხველოების შენახვისთვის და გამგეობა მოიპოვებს უფლებას მათ დასაარსებლად.

◆ **ვითომდა ერბო.** ტფ. სავაჭრო სამეურნეო პოლიციამ შუა ბაზარში, 17 დეკემბერს, აღმოაჩინა 30 ბოჭკა, სავსე საეჭვო ღირსების ერბოსი, ქალაქის ქიმიკოსის გამოკვლევით, ერბო არ გამოდგა ბოჭკებში. გამყიდველებს ერბოს მსგავსი რაღაც ნივთიერება გადაუდუღებიათ და რუსის ერბოს სახელით უნდოდათ გაესაღებინათ. გამოძიება სწარმოებს.

◆ **სკოლა საინგილოში.** წ.-კ. საზოგადოების გამგეობამ 18 დეკემბერს განიხილა, სხვათა შორის, განცხადება კონსტ. და ნიკ. ტურიაშვილებისა, რომელთაც საზოგადოებას ყოველ წლობით აღუთქვეს 100 მან. იმ პირობით, თუ იგი ზაქათალაში ქართველ მაჰმადიანთათვის დაარსებს სკოლას. გამგეობამ დაადგინა, მადლობა გამოუცხადოს ტურიაშვილებს და დაავალოს სასკოლო სექციას შეიმუშაოს გეგმა სკოლისა.

◆ **ტფ. გენ.-გუბერნატრის განკარგულებანი.** ტფ. გენერალ გუბერნატრის განკარგულებით, სამ სამი თვით დაპატიმრება და შემდეგ საგენერალ-გუბერნატოროდან გაძევება მიესაჯა რაჭის მაზრის მცხოვრებ გიორგი მეტრეველს, გორელს ანტონ ბოსიკაშვილს, კახელს ნიკოლოზ ცხვარაძეს, ვლადიმერ არტემიევს, დავით ბიდინაშვილს და პავლე ხარიტონჩენკოს მანუკ ასატუროვს და ალაპკერ-ოღლის მიესაჯათ სამითვით საპატიმრო და შემდეგ სპარსეთში გადასახლება. იმავე დადგენილებით დავით, ევა და მარიამ ხანდამაშვილები, იოსებ ჩიტაევი და გაბრიელ თათეოზიანცი გადასახლებულ იქმნენ ვიატკის გუბერნიაში.

◆ **წერა-კითხვის საზოგადოების კრება.** 18 დეკემბერს წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ დაადგინა, საზოგადო კრება დანიშნოს 4 იანვრისთვის. კრება მიიღებს ახალ წევრებს და განიხილავს იმ ინსტრუქციის პროექტს, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს გამგეობამ; არჩეულ იქმნა სარევიზიო კომისია, რომელიც შეამოწმებს საზოგადოების საგამომცემლო ნაწილის დავთრებს და რევიზიას გაუკეთებს წიგნების მაღაზიის შემოსავალ-გასავლის წიგნებს. ამავე სხდომაზედ გამგეობამ განიხილა მოწერილობა ტფ. გუბერ. სახალხო სკოლების ინსპექტორის პერევოზნიკოვისა, რომელიც გამგეობას აცნობებს, რადგან წინარეხის სკოლა ჩვენს განკარგულებაში არ არის, მის შესანახ ფულს გორის ხაზინაში ჩვენს დეპოზიტში არ მივიღებთო. გამგეობამ დაადგინა, სთხოვოს ტფ. სახაზინო პალატას, აღდგენილ იქნას ძველი წესი ფულის შეტანისა გორის ხაზინაში. წინარეხის სკოლის შესანახი ფული უნდა შეტანილ იქნეს მაზრის უფროსის სახელზე და მისი შუამდგომლობით დაიხარჯება სკოლის საჭიროებაზე.

◆ **არტურ ლეისტის თხზულება.** ამ დღეებში ტფ. წიგნის მაღაზიებმა მიიღეს ბ-ნ არტურ ლეისტის თხზულება „მგზავრის შთაბეჭდილებანი“, გამოცემული გერმანულ ენაზე დრეზდენში. ბ-ნი ლეისტი თავის წიგნში, სხვათა შორის, დაწვრილებით აღწერს საქართველოს ცხოვრებას და ახასიათებს მგოსან ილია ჭავჭავაძეს.

◆ **სომხის მწერლის დაპატიმრება** 18 დეკემბერს ვაგზალში დააპატიმრეს სომხის მწერალი ავეტიქ ისაკიანცი, რომელიც საზღვარ-გარედ მიდიოდა.

◆ **კრება არ შესდგა.** 18 დეკემბრისთვის დანიშნული სხდომა ტფ. ქალაქის საბჭოსა არ შესდგა ხმოსანთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობის გამო.

◆ **კრების გადადება.** სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის დამოუკიდებელ მიზეზების გამო საზოგადო კრება 21 დეკემბერს არ შესდგება. კრების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

◆ 18 დეკემბერს ვოკზლის ქუჩაზე ავალიანის ტრაქტირთან პოლიციამ დააპატიმრა შორაპნის მაზრის სოფელ ლეღვანის მცხოვრები დავით მაღრაძე, რომელსაც სხვა და სხვა ბოროტ-მოქმედება ჰბრალდება. მაღრაძეს აღმოაჩნდა გატენილი რევოლვერი. ცოტა ხანს შემდეგ დააპატიმრეს აგრეთვე მაღრაძის მეუღლე, რომელსაც აგრეთვე ჰბრალდება სხვა და სხვა დანაშაულობა, რისთვისაც მას დაეძებდა შორაპნის მაზრის პოლიცია.

◆ 18 დეკემბერს ნუხისა და კონსტანტინეს ქუჩების კუთხეში ვიღაცამ დანით სასიკვდილოდ დასჭრა ფეხსაცმელის მკერვალი ალექსანდრე ცატუროვი. ეჭვით დააპატიმრეს დაჭრილის ძმები ტიგრან და მოსეს ცატუროვები, რომელთაც ფულის ანგარიშების გამო მტრობა ჰქონიათ ალ. ცატუროვთან.

◆ 18 დეკემბერს ტფ. ტრამვაის სამმართველოსთან ჩხუბი მოუვიდათ ტრამვაის მოსამსახურეებს. რევოლვერებიც კი გაისროლეს. არავინ დაჭრილა.

—

შეცდომის გასწორება. „დროების“ № 15 თელავიდან წერილში დაბეჭდილი იყო: „არის კიდევ საწყალობელი სახელდობრ სასულიერო და სამრევლო, რომლის ღარიბებს მოწაფეებს დახმარება არ ეძლევათ“ და სხვა. უნდა იყოს: „მარტო სასულიერო და არა სამრევლო სკოლა, რომლის ღარიბებს მოწაფეთ სწავლის ფასი არა ხდებათ“ და სხვა.

ქუთაისი

◆ **საპატიო თავმჯდომარე.** სამეურნეო გამოფენის საორგანიზაციო კომიტეტმა თავის საპატიო თავმჯდომარედ აირჩია გენერალი სლავოჩინსკი; თავმჯდომარედ—პავლენკო და იმის ამხანაგად—პეტრე წულუკიძე. გარდა ამისა, კომიტეტმა თავის პირველ სხდომაზე 16 ამ თვეს აირჩია საფინანსო კომისია, რომელმაც, ფულის სახსარის მოპოვების გარდა, უნდა შეიმუშაოს გამოფენის პროგრამმა. ამ კომისიაში არჩეულნი არიან: დ. ნაზაროვი, ნ. მკურნალი, ალ. შარაშიძე, ბ-ნი მაზმანოვი და პეტრე წულუკიძე.

◆ **სალიტერატურო დილა.** 21 ამ თვეს ქალაქის თეატრში გაიმართება სალიტერატურო დილა ქალაქის სკოლების მოსწავლეთათვის. გარდა აკაკის ბიოგრაფიისა, მოსწავლენი წაიკითხავენ აკაკი წერეთლის ლექსებს.

◆ **საიუბილეო წარმოდგენის შემოსავალი.** საიუბილეო წარმოდგენის შემოსავალი 1153 მანეთი აღმოჩნდა; აქედან ბ-ნ აკაკის გადასცეს 800 მ.; დანარჩენი დაიხარჯა. ფულის კრეფა ფონდის გასაძლიერებლად კვლავ სწარმოებს. ჯერ-ჯერობით, ჩვენის ცნობით, შეკრებილა 900 მანეთამდის. ეს ფული გადაეცემა წერა-კითხვის საზოგადოებას აკაკის ფონდის გასაძლიერებლად.

◆ **კერძო კრება პურიშკევიჩის სიტყვის გამო.** ქალაქის გამგეობას აზრადა აქვს ამ დღეებში გამართოს კერძო თათბირი ხმოსნებისა პური-

---

პალატა. დეპუტატებს შორის თითქმის არც კი აღმოჩნდა კანონ-პროექტის სერიოზული მოწინააღმდეგე. მაგრამ, სამაგიეროდ, ლორდთა პალატა ამ კანონ-პროექტმა ფეხზე დააყენა და მოხდა ის, რასაც არავინ მოელოდა—დიდის ხმის უმრავლესობით ლორდთა პალატამ პროექტი უარჰყო და, ამრიგად, სასარგებლო კანონი დამარხა, დროებით მაინც.

ამ ამბავმა მთელი ინგლისი ჯერ გააოცა და მერე გააბრაზა. შეუდგნენ კვლევა-ძიებას და მერე რა გამოირკვა: თურმე ნუ იტყვით ლორდების უმრავლესობა პირადად ყოფილა დაინტერესებული მაგარ სასმელების ვაჭრობაში. ზოგს ლუდის ქარხნები ჰქონია, ზოგს არყისა, ზოგს კიდევ ტრაქტირები და სხვა. ერთ ლორდს მარტო ლონდონში ორმოც-და-ათამდე ტრაქტირი აღმოაჩნდა. ისეთი ლორდი ზედა პალატაში, რომელიც პირდაპირ ყოფილა ამ საქმეში დაინტერესებული, ას-ოც-და-ათი აღმოჩნდა. რასაკვირველია, ამის შემდეგ გასაოცებელი არავისათვის იყო ის, თუ ბრწყინვალე ლორდებმა რად გააშავეს სასარგებლო კანონი—ისინი ამით თავიანთ უმისოდაც სქელ ჯიბეს იცავდნენ.

ეხლა ინგლისში სულ სხვა მხარეს მიაქციეს ყურადღება. მოწინავე ელემენტები თითქმის ერთხმად თხოულობენ ლორდთა პალატის ან გაუქმებას ან მის რეორგანიზაციას იმნაირად, რომ ამ ძველსა და დახავსებულს დაწესებულებას აღარ შეეძლოს რეფორმების შეფერხება. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ინგლისელნი ჩვეულნი არ არიან რევოლიუციონურის გზით სიარულს. ამიტომ ცოტაა ისეთი, რომელიც თხოულობდეს ერთ კალმის მოსმით ლორდთა პალატის გაუქმებას. უმეტესობა კანონიერ გზას ეძებს ამ დაწესებულების ასალაგმავად. ზოგნი წინადადებას აძლევენ მთავრობას და მეფეს, შექმნან ლიბერალ აზნაურთაგან ხუთასი ახალი ლორდი იმ აზრით, რომ მერე ამ ახლად გამოჩეკილმა ლიბერალმა ლორდებმა თითონ დაადგინონ ზედა პალატის გაუქმება. მეორენი ურჩევენ ქვედა პალატას, რომელზედაც დამოკიდებულია გადასახადების გაწერა, ისეთი უზარმაზარი გადასახადი გააწეროს ზედა პალატის ლორდებს, რომ მათ ველარ შესძლონ სხდომებზე სიარული და, ამ რიგად, ფაქტიურად დასცენ მათი გავლენა. ასეა თუ ისე ლორდების წინააღმდეგ დღეს ყველა ამხედრდა; ხოლო საზოგადოებრივ აზრს ინგლისში ისეთი დიდი გავლენა აქვს, რომ მეორე სესიაში, როდესაც, ეჭვი არ არის, ხელ-ახლა შეიტანენ ხსენებულ კანონ-პროექტს, ლორდები ველარ გაჰბედავენ მის გაშავებას.

⁂

ლოთობის წინააღმდეგ კანონი, ეჭვი არ არის, სასარგებლო საქმეა, მაგრამ არ ვიცი, რამდენად სასარგებლო იქნება ისეთი ორიგინალური სავალდებულო დადგენილება გაფიცვებისა და ბოიკოტების წინააღმდეგ, როგორიც შვეციის სატახტო ქალაქის სტოკჰოლმის თვითმმართველობას განუზრახავს. მართლაცა და მეტად ორიგინალური აზრი მოსვლიათ თავში სტოკჰოლმის ქალაქის მამებს. მათ განუზრახავთ ისეთ დადგენილების გამოცემა, რომლის ძალითაც გაფიცვისა და ბოიკოტის დროს ქალაქის ყველა მცხოვრებისთვის სავალდებულო იყოს ამა თუ იმ საქმის შესრულება. ვთქვათ, ტრამვაის მუშები გაიფიცნენ. ამ სავალდებულო დადგენილების ძალით არც ერთ მოქალაქეს ნება არ ექნება, უარი სთქვას ტრამვაის მუშის საქმის ასრულებაზე.

სწორედ ბედნიერებაა, რომ ჩვენი ქალაქის მამები „დროებას“ არა სწყალობენ და ხშირად „დროება“-ში მოთავსებულ ამბებს წყაროს აღუნიშნელად გადაბეჭდილ „ტიფ. ლისტოკ“-ში კითხულობენ ხოლმე, თორემ შენ მტერს ჩვენ დავიღუპებოდით: ამ იდეით ისარგებლებდნენ და გამოსცემდნენ ტფილისში სტოკჰოლმისთანა სავალდებულო დადგენილებას. მაშინ წადი და ირიკავე! წარმოიდგინეთ ამ სავალდებულო დადგენილების დროს გაფიცვა ტფილისში, თუნდაც ფარნების ამთებ მუშების აგკიდებენ, ჩემო მკითხველო, ზურგზე კიბეს, მოგცემენ ხელში ჭუჭყიან ტილოს და გაგგზავნიან ფარნების ასანთებად. უარს ვერ იტყვი სავალდებულო დადგენილების ძალით.

მაგრამ, როგორცა ვთქვი, ჩვენი ხსნა და იმედი ის არის, რომ ქალაქის მამები ჩვენ გაზეთს არა სწყალობენ, ამ ფელეტონს ვერ წაიკითხავენ და, მაშასადამე, ვერც ამ იდეით ისარგებლებენ, ხოლო თავიანთი ჭკუით, შენც კარგად მოგეხსენება მკითხველო, ჩვენი ქალაქის მამები ბევრს მაინცა და მაინც ვერაფერს გამოიგონებენ. **ზოხიმ.**

შვეცრის სიტყვით გამოწვეულ ინციდენტის გამო.

◆ **უკანასკნელი წარმოდგენა.** 21 ამ თვეს ქუთაისის თეატრში გაიმართება უკანასკნელი წარმოდგენა ამ სეზონში ქ-ნ ნინო დავითაშვილის მონაწილეობით. ქ-ნი დავითაშვილი აპირებს წასვლას მოსკოვში. იმის მაგიერად აქაური დასი აპირებს ქ-ნ ეფემია მესხისა და სხვა გასტროლერების მოწვევას.

◆ **ქალაქის საბჭოს 15 დეკემბრის სხდომა.** საბჭომ დაავალა გამგეობას გუბერნატორის წარდგენის მიზეზებზე შედგენილი ოქმები, რომ, იქნება, მან აღადგინოს როგორმე მათი თავგასულობანი. — რადგან სათანადო კომისიის ზოგიერთი წევრი არ იმყოფება ქუთაისში, რის გამო კომისიას ვერ გაუხილავს გამგეობის მიერ შემუშავებული მომავალი წლის საგარაუდო აღრიცხვა. საბჭომ დამატებით აარჩია ორი წევრი — ი. გ. ჩიმაკაძე და ბ. ი. გოგიელოვი. — საბჭომ უკანონოდ სცნო საქალაქო საქმეთა საკრებულოს დადგენილება, რომლის ძალითაც აიძულეს ქალაქი მაძებარ განყოფილებისათვის თავის ხარჯით დაექირავებინა სახლი, და დაადგინა, საკრებულოს დადგენილება გაასაჩივროს უმაღლეს სენატში. — საგაზეთო დეპუტაციის წევრებად აარჩიეს ბ. ა. ასათიანი და ტ. დ. გაბუნია; მათ კანდიდატებად — თ. თ. ნიქორაძე და ა. გ. ახვლედიანი. — საბჭომ უყურადღებოდ დასტოვა ჟანდარმთა სამართველოს უფროსის შუამდგომლობა შესახებ იმისა, რომ მის თანაშემწეს ქალაქის საშუალებიდან მიეცემოდა ბინის ფული. — უყურადღებოდ დატოვებულ იქმნა აგრეთვე გუბერნატორის წინადადება შესახებ იმისა, რომ ქალაქს თავის ხარჯით დაექირავებინა ტირასპოლის ქვეითი რაზმის [illegible] საჭირო შენობა. — დადგენილ იქმნა, ეცნობოს ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსს, რომ ქალაქი მხოლოდ იმ შემთხვევაში იკისრებს თავის ხარჯით წყალგაღმა ნაწილში გასახსნელ განყოფილებისათვის საჭირო შენობის დაქირავებას, თუ იქ გაიხსნება სრული ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება იმ გვარისავე ოპერაციებით, როგორიცაა თვითონ კანტორაში და არა მარტო ფოსტის განყოფილება, სადაც შესაძლებელი იქნება მხოლოდ მიღება სხვა და სხვა კორესპონდენციებისა. — თანახმად გუბერნატორის წინადადებისა, არჩეულ იქმნა კომისია, რომელმაც უნდა იკისროს ქუჩების სახელების დარქმევა და სახლების ნუმერაცია. კომისიის წევრებად აარჩიეს: ბ. ა. გაბაძე, ა. გ. ახვლედიანი და ბ. ა. ასათიანი. — ი. ჩიქოვანის თხოვნა ქალაქის ბაღში პავილიონის აშენების ნებართვის შესახებ გადაეცა წინასწარ განსახილველად სააღმშენებლო კომისიას.

ფიქრები აღზრდა-განათლების შესახებ

II

ჩვენი ცხოვრების მთელი წყობილება, მთელი ჩვენი ყოფა-ცხოვრება, თვითეული მცირე მოვლენა, საქციელი და მისწრაფება — თავის კვალს აჩნევს იმ ადამიანებს, რომელთაც რაიმე კავშირი აქვთ ჩვენთან ან ჩვენ საახლოვეს ცხოვრობენ. ჩვენი რყევა, ურწმუნობა, მტკიცე ხასიათის და უმაღლესი მისწრაფების უქონლობა — ჩვენ შვილებზე გადადის.

მხოლოდ მაშინ, როცა თვით ჩვენ გონივრულად და წმინდა-ზნეობრივად ვცხოვრობთ, თავს იჩენს ჩვენ სულში ის ადამანტი, რომელიც მოყვრებს ჩვენკენ იზიდავს. ამიტომ საკითხი ჩვენი შვილების აღზრდა-განათლების შესახებ ბოლოს და ბოლოს ჩვენი საკუთარი აღზრდა-განათლებისა, ჩვენი საკუთარი თავის შველისა და უკეთესობის საკითხია.

„ნუ ეცდებით დაარწმუნოთ სხვები, რათა კეთილ ცხოვრებას დაადგნენ, ამბობს ამერიკელი ფილოსოფოსი ჰენრი დავით თორო — თქვენ თვითონ კეთილ ცხოვრებას დაადექით და უეჭველად, ვინც თქვენს ახლოს სცხოვრობს, იწამებს იმას, რასაც თავის თვალით დაინახავს“.

ამ სიტყვებში ღრმა ჭეშმარიტებაა გამოთქმული. თუ თქვენ თვითონ არ გიყვართ სიკეთე, თუ სულით და გულით, მთელი თქვენი არსებით ამ სიკეთეზე არ დამყარდით, ქარის ანაბარა უნდა ინავარდოთ ცარიელ სივრცეში და სხვებს ამ სიკეთისაკენ თავის დღეში არ მოიზიდავთ!

როცა ოჯახსა და საზოგადოებაში არ არის ზნეობრივი კავშირი, როცა არ არის ის წმინდა ძაფი, რომელიც ზრდის და ჰკვებავს ზნეობით წმინდა, სულით ფაქიზ ადამიანს, როცა არ არის მტკიცედ შემდგარი საზოგადოებრივი აზრი, რომელიც სულიერად ამაღლებს, ზნეობრივ საწმინდის დონეზე აყენებს ადამიანს, — როცა ადამიანის ცხოვრება ყველა ამას მოკლებულია, მაშინ მრავალ-ტომიანი ნაწერები ბავშვების აღზრდა-განათლების შესახებ წარმოადგენს სიცოდვას, აუსრულებელ მოძღვრებას, ფუჭ სიტყვიერების უბრალო ხმოვანებას. თუ ჩვენი თავი მკურნალს გვგონია, ჯერ ჩვენვე უნდა განვიკურნოთ, და მხოლოდ მაშინ ვისწავლით, როგორ განვკურნოთ ჩვენი შვილები; მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენი თვალიდან „დვირეს ამოვიღებთ, შევიტყობთ, როგორ უნდა ამოვიღოთ ბეწვი ჩვენ მახლობელ ადამიანთა თვალთაგან“.

მე თავის დღეში არ დამავიწყდება შემდეგი შემთხვევა ჩემს პირად ცხოვრებიდან. ერთხელ, პეტერბურგს მიმავალი, პროვინციალურ საუნივერსიტეტო ქალაქში შევიარე და პირდაპირ ერთ ჩემ ნაცნობ პროფესორის სახლისაკენ გავემართე. დილის რვა საათი იყო. ჩემ ნაცნობსა და იმის ცოლს ეძინათ. შევედ კაბინეტში, რომელიც საწიგნე შკაფებით იყო სავსე, სავარძელში ჩავჯექი და ჩემ თვალწინ ბავშვების საწოლ ოთახის ღია კარები დავინახე. ოთახში მოსამსახურე ქალი ტანთ აცმევდა ნაცნობ პროფესორის პაწია ქალს. ბავშვის ბრძანებითი კილო, სასტიკი ყვირილი, მოსამსახურე ქალისაკენ მიმართული, უგემურად მომხვდა გულს; ნათლად დავინახე ამ ბავშვის, ამ პაწია საყვარელ ადამიანის სულში შეპარული სნეულება. რა საცოდავ სარახურად მეჩვენა მაშინ მთელი ეს მწერლობა, ცხოვრებისათვის უსარგებლოდ დარჩენილი მთელი ეს წიგნებით სავსე შკაფები, რომელიც კაბინეტში გარშემო შედგნენ. მამას, ნასწავლ პროფესორს, სძინავს. ამ დროს კი იმისი პატარა ქალი ადამიანზე, თავის მოყვასზე, თავის მსგავს სულდგმულზე ბრძანებლობას სწავლობს.

სინიდისის ქვეშ რომ ვსთქვათ, ყველას ერთნაირად გვაწევს ამგვარი ნამდვილ პროფესორული ზნე ჩვენი შვილების მიმართ, და, როცა სხვებს დავუკვირდებით, ისევ ჩვენსავე თავს ვიცნობთ. და სანამ ძილით ვიქნებით შეპყრობილნი და ამ დროს ჩვენ გვერდით ჩვენი შვილები გარყვნილებას შეეჩვევიან, ვერაფერს გვიშველიან ვერავითარი მრავალ-ტომიანი სამეცნიერო ნაწერები ბავშვების აღზრდა-განათლების შესახებ.

საკითხი გულ-წრფელად, პირდაპირ უნდა დავსვათ: რა არის უფრო ძვირფასი ჩვენთვის? ჩვენი შვილების სწორი, ადამიანური აღზრდა-განათლება, თუ ჩვენი ძილი და ყოველნაირ ავეჯით სავსე ეს ჩვენი ხუთი ან ექვსი ოთახი, რომელთა დასალაგებლად უეჭველად საჭიროა ჩვენთვის შინა-ყმა „თეთრი ზანგები“. რა არის უფრო ძვირფასი ჩვენთვის — დაკმაყოფილება, ჩვენი სხვა და სხვა მოთხოვნილებათა, რომელნიც სულ უფრო და უფრო მრავლდებიან და იზრდებიან, თუ დაკმაყოფილება ჩვენის უმთავრეს მოთხოვნილებისა — ჩვენთვის და ჩვენი ოჯახისათვის ადამიანურ ცხოვრების მწყობის.

ილია ნაკაშიძე.

არჩილ ჯაფარიძის ხსოვნას *)

ეხლა ისეთი ხანაა, რომ ყოველგვარ უბედურებას გულჩაწყვეტილის სიჩუმით ჰხვდება კაცი, თითქმის წინადვე ჰქონდეს გათვალისწინებული ამ უბედურების მოხდენაო.

მაგრამ არის ისეთი მწუხარება, რომელსაც ბევრიც რომ ელოდო წინათვე მის პირისპირ შეხვედრას, ერთს მაინც ამოგაკვნესებს უნებლიეთ, ერთს მაინც ამოიოხრებს გული და თვალები, მწუხარებით გაშრალი, კიდევ მოსძებნიან ძვირფასად შენახულ ცრემლებს და ზედ დაანამებენ ამ მწუხარებას, რომ შეატყობინონ თვიანთი თავდაუჭერელი სევდა თვიანთი თანაგრძნობა.

სწორედ ასეთი მწუხარება ვიგრძენი, როცა შავი ასოებით ამოვიკითხე, რომ სადღაც, რუსეთის შორეულ ქალაქში თავის ახალგაზრდა სიცოცხლის უკანასკნელ წამებს სამუდამოთ გამოამშვიდობა შავმა სიკვდილმა დაუვიწყარი ამხანაგი არჩილი. მისი სიკვდილის გაგონებაზე ვეღარ მოითმინა გულმა და მწარედ, ნაღვლიანად ამოიკვნესა.

დაე, ეს ამოკვნესა იყვეს უკანასკნელი სალამი და გამომშვიდება, ძვირფასო ამხანაგო! თუ ცოცხალთან ვერ მოგასწარ გამომშვიდობება — მკვდარს მაინც გამოგემშვიდობები.

რა გულსაკლავია — **ცივ რუსეთში ცივი სიკვდილი**! მოკლებული ამხანაგურ თანაგრძნობას, მშობლების სიყვარულს, ხალხის პატივისცემას. მოწყვეტილი სამშობლო მხარეს, მის სითბოს, მის სილამაზეს...

ჩვენ აქედან გაგზავნეთ გამარჯვებული და გვიბრუნდები დამარცხებული. ჩვენ აქედან გაგზავნეთ ტკბილის ამბებითა და ოცნებებით აღჭურვილი, იქიდან კი დაგვიბრუნდი უიმედობით და სასოწარკვეთილებით შებოჭილი, ჩვენ აქედან გაგზავნეთ ცოცხალი და უკან გვიბრუნდები მკვდარი.

რომ გვცოდნოდა, თუ იმ ბრძოლაში, რომელშიაც შენ მიდიოდი მხოლოდ იხოცებიან და გამარჯვებას კი ვერ ეღირსებიან — ფეხსაც არ მოგაცვლევინებდით. სამშობლო მხარე მაგრა მიგიხუტებდა თავის ფართო მკერდზე. მის მკერდზე იცოცხლებდი, მოჰკვდებოდი და არა მისგან მოწყვეტილი, მოკლებული მის სითბოსა და ალერსს. ჩრდილოეთის სიცივემ გაგყინა და ეხლა შენ გაყინულ გვამს გვიბრუნებს უკან.

მოდი! შენი ხალხის თბილი მკერდი შენ გაყინულ გვამსაც მხურვალედ ჩაიკრავს გულში. შენი სამშობლო მხარე სიხარულით მიიღებს თავის სასიქადულო შვილს. შენი საყვარელი ამხანაგები შენს ცივ გვამსაც კი სიხარულითა და ნეტარებით შეხვდებიან.

ძვირფასო ამხანაგო! შენი ხსოვნა დაუვიწყარი იქნება ჩემს გულში, ვიდრე შესწყვეტდეს იგი თავის ფეთქვას. ან როგორ დამავიწყდება ისეთი ადამიანი, რომელსაც ყველაზე მეტად ვცემდი პატივს, რომელიც საოცრად გამოირჩეოდა ყველა ამხანაგებისაგან თავის გულწრფელობით, პატიოსნებით, უანგარობით, მხნეობით და ფართო აზროვნობით?

ესეთი ადამიანები ყოველთვის მიყვარან, რა ასპარეზზეც უნდა მუშაობდნენ და მათი უდროო სიკვდილი მწუხარებით ავსებს ჩემ გულს მშვიდობით ძვირფას ამხანაგს, მშვიდობით!..

ლევ. მეტრეველი.

---

*) ეს წერილი „ალის“ რედაქციაში მივიტანე, მაგრამ რედაქტორმა წაუკითხავად უარი განაცხადა მის დაბეჭდვაზე, ამხანაგური პატივისცემაც ასეთი უნდა!
ლ. მ.

თეატრი და ხელოვნება

ავლაბრის თეატრი. ხუთშაბათს, 18 დეკემბერს, გაიხსნა ახლად გადაკეთებული ავლაბრის თეატრი (ყოფილი არაქსიანისა, ეხლა კი სანიკიძისა). ავლაბრის მცხოვრებთათვის ამ ტეატრს ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და დღეს, ჩვენის აზრით, ეს მნიშვნელობა გაორკეცდება. დირექციაში ბ-ნი აველიანი და ქ-ნი ადამიანი შედიან და ჯერ-ჯერობით საკმაო მუყაითობას და საქმისადმი სიყვარულს იჩენენ.

თვით შენობა თეატრისა საკმაოდ დიდია, თითქმის 400 კაცს იტევს. ვინაც უნახავს ძველი შენობა (არაქსიანის ხელში რომ იყო), ეხლა ვერც-კი იცნობს. წინად სცენა ზემო სართულში იყო, ხოლო ქვემოდ საცეკვაო, სასეირნო, ფოიე და სხვა იყო მოთავსებული. ეხლა ზემო და ქვემო სართულები შეუერთებიათ და სცენა ძირს გაუმართავთ. პარტერი, ლოჟები, გალერია — ყველა კოხტად, სუფთად და შნოიანად გაუკეთებიათ. თეატრი ელექტრონით არის განათებული ფოიები გვერდზე აქვს მოწყობილი ცოტა უფრო განიერი და ხალვათი ოთახები რომ დაეთმოთ ფოიესათვის, უკეთესი იქნებოდა. ეს ნაკლი თვალსაჩინო იქნება უფრო მაშინ, როდესაც თეატრი ხალხით გაივსება. მეორე ნაკლად კიდევ ის უნდა ჩაითვალოს რომ იატაკი ასფალტისაა და ზამთარში ეცივება.

18 დეკემბერს ხალხი ბლომად მიაწყდა წარმოდგენას. თუმცა ფასები მომატებული იყო, მაგრამ ავლაბრელებმა გული არ გაუტეხეს თეატრის გამგეებს და ბლომად მივიდნენ. საყურადღებო ისიც არის, რომ ამ ტეატრში ნამდვილი დემოკრატიული ელემენტი დაიარება. ქართულ დიდ თეატრშიაც ხომ უფრო მუშები და მოწაფეები დადიან, მაგრამ აქ, ამ განაპირა ადგილში, ნამდვილი დემოკრატიაა გამეფებული. მუშები, წვრილი ხელოსნები წვრილი ვაჭრები, მოწაფეები, პატარა მოხელენი — აი ვინ დაიარება ავლაბრის თეატრში. მრავლად დადიან ქალებიც — მუშებისა, ხელოსნებისა და ვაჭრების ცოლები. ესენი უმთავრესად სოფლიდან ჩამოსახლებულები არიან. ყველა დიდის ალტაცებით უსმენდა მსახიობებს. წესიერება ერთის წუთითაც არ დარღვეულა.

18 დეკემბრის წარმოდგენას ინტერნაციონალური ხასიათი ჰქონდა. წარმოადგინეს ვოდევილები რუსულ, სომხურ, ქართულ და თათრულ ენებზე. რუსულად წარმოადგინეს ჩინაროვის ერთ-მოქმედებიანი ვოდევილი „ძვირფასი კოცნა“. არტისტებმა როლები კარგად იცოდნენ და პიესაც მშვენივრად ჩაატარეს. ბ-ნმა ბორისოვმა კარგად დაგვიხატა ტიპი - დაბეჩავებულ, მცირე ჯამაგირიან მოხელისა. კარგი იყო ბ-ნი ლეონიდოვი ბირიულკინის როლში. ქალები ცოტა მოისუსტებდნენ. უალაგოალაგას სიცილი ცუდ შთაბეჭდილებას ახდენდა.

შემდეგ წარმოადგინეს სომხურად ვოდევილი „ზრდილობა“ რუსულიდან ნათარგმნი. მონაწილეობას იღებდნენ: ქ-ნნი არაქსი, გულაზიანი ჰასმიკი და ბ-ნნი თაშჯიანი და ხარიტიანი. საზოგადოდ ყველანი კარგად თამაშობდნენ, მაგრამ საუცხოვო იყო თაშჯიანის თამაში. როლების უცოდინარობა არც ამათ ემჩნეოდათ. საზოგადოებამ ხანგრძლივი ტაშის ცემით დააჯილდოვა მსახიობნი.

სომხურის შემდეგ ითამაშეს ქართული „ბიძიასთან გამოცხუმრება“ რ. ერისთავისა. მონაწილეობას იღებდნენ ქ-ნი საფაროვა-აბაშიძისა და ბ-ნნი გოცირიძე, სალაყაია და საფაროვი. ივანიძეს როლის უცოდინარობაც ეტყობოდა და ცოტა გადამეტებული „ბიძიაც“ იყო. ქ-ნ საფაროვა-აბაშიძის თამაშობამ ყველანი ალტაცებაში მოიყვანა. საზოგადოდ ქართულმა წარმოდგენამ უფრო ძლიერი ტაშისცემა გამოიწვია, ვიდრე რუსულმა და სომხურმა. მსახიობნი და უმთავრესად საფაროვა-აბაშიძისა რამდენჯერმე გამოიწვიეს „ვაშას“ ძახილითა და ტაშის ცემით.

თათრულად კარგად ითამაშა ავეტიანმა. წარმოადგინეს „კრტ-კრტი“.

წარმოდგენის შემდეგ გაიმართა ცეკვა. როგორც ცეკვის, ისე ანტრაქტების დროს უკრავდა სამხედრო ორკესტრი და საზანდარი. წარმოდგენას სადღესასწაულო ხასიათი ჰქონდა, დაესწრნენ არტისტები ქართულ, სომხურ და რუსულ დასებისა, პრესის წარმომადგენელნი და სხვები.

სამღვდელოების კრება

სამღვდელოების კრების ზოგიერთი დადგენილებანი ხარვეზით არა გვქონდა აღნიშნული, ამიტომ ხელ-ახლა ვბეჭდავთ ამ დადგენილებებს. არჩევითი წესის შესახებ: მოიხსნას (და არა მეჩერდეს) არჩევა მღვდლებისა და მედავითნეებისა მრევლთაგან, სანამ საქართველოს ეკლესიის საკითხი არ გადაწყდება რუსეთის საეკლესიო კრებაზედ.

სამღვდელოების ქონებრივად დაკმაყოფილების შესახებ: ა) ეთხოვოს მთავრობას, კრებულები დააკმაყოფილოს ჯამაგირით; ბ) სადაც შესაძლებელია, მიეცეთ კრებულებს სახელმწიფო ადგილები, როგორც ეს რუსეთშია; გ) ეთხოვოს სასულიერო მთავრობას, იშუამდგომლოს სამოქალაქო მთავრობის წინაშე, რომ მან ჩააგონოს და დაარწმუნოს ხიზნები სამრევლონი, რომ ისინი მოვალენი არიან აძლიონ მღვდლებს დაწესებული დრამა. (ამ მუხლის განხილვის დროს მღვ. ნინიკაშვილმა სიტყვა წარმოსთქვა და მოთხრობილია „ახი ვირდ“-ს ამბავი. ნინიკაშვილმა ეს თავის თავზედ კი არა სთქვა, არამედ მოიყვანა, საზოგადოდ. ხიზნებში მღვდლების მიერ დრამის აკრეფის უნაყოფობის დასამტკიცებლად).

მაზრების ახალ საბლაღოჩინოებად დაყოფის შესახებ: დაიყოს მაზრები საბლაღოჩინოებად ისე, რომ თითოში მოხვდეს 10-დან 15-მდე კრებული. კრებამ უკვე მოახდინა ეს ახალი დაყოფა საბლაღოჩინოებისა.

სამღვდელოების შტატების შესახებ: სადაც 100 კომლზედ ნაკლები მრევლია შტატის სამრევლოებში და სამ ვერსზედ მეტს არ არის შტატის ეკლესიიდან, ასეთი შტატები მოიხსნას და მიეწეროს მახლობელ შტატებს.

მეორე მეფსალმუნეების შესახებ: დარჩნენ მეორე მეფსალმუნეები თავიანთ ადგილებზედ, სანამ ეს სურთ, თუნდ სიკვდილამდე.

საეპარქიო ორგანოს შესახებ: გამოიცეს საეპარქიო ორგანო, რომელიც უნდა გამოიწეროს ყველა კრებულმა 5 მანეთად ეკლესიის ხარჯით. ჟურნალი ვისაც სურს, შეუძლიან დაიბეჭდოს „უბლაღოჩინოდ“ თავის საკუთარ აზრებზე.

რუსეთი

ქალთა კრებაზე. პეტერბურგის გრადონაჩალნიკის განკარგულებით, პოლიციას სრულიად რუსეთის ქალთა კრების მეორე სექცია დაუხურავს, რომელზედაც აგრარულ საკითხის შესახებ რეზოლუცია უნდა წაეკითხათ. დახურეს აგრეთვე კრების საორგანიზაციო კომისიის სხდომა.

◆ **პეტერბურგის რევიზია.** მოსკოვის, ტაშკენტის, ოდესის და სხვა ადგილების რევიზიამ ბევრი ბოროტ-მოქმედება აღმოაჩინა. ამის გავლენით უმაღლეს მთავრობას პეტერბურგის რევიზია დაუნიშნავს. რევიზია იანვარში მოხდება.

◆ **სამხედრო წესები.** როგორც გაზეთი „რეჩი“ გადმოგვცემს, მომავალ წლის პირველ იანვრიდან მთავრობას განზრახვა აქვს ბევრ ალაგას სამხედრო წესების მაგიერ გაძლიერებული წესები შემოიღოს.

◆ **შეწირულება.** ნოვოდევიჩის მონასტერს ხუთ ნახევარ მილიონი მანეთი შეუწირავს ხოლერასთან საბრძოლველად.

◆ **გურკო ახალ თანამდებობაზე.** „ლიდვალიადას“ ცნობილ გმირს, შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილ ამხანაგ გურკოს, „რუსკ. ვედ.“ სიტყვით, ახალ დიდ თანამდებობას აძლევენ.

◆ **სასულიერო აკადემიების რევიზია.** პეტერბურგისა, კიევისა და მოსკოვის სასულიერო აკადემიების რევიზია უკვე დასრულდა და რევიზორებს კიდეც წარუდგენიათ მოხსენებები. სამივე რევიზორი ავტონომიის წინააღმდეგი ყოფილა. მათის აზრით, ავტონომიას „აკადემიის ცხოვრება გაუხარწნია.“ გაზეთ „ნოვ. რუს.“ სიტყვით, უმაღლეს სასულიერო წრეებში პრინციპიალურად გადაუწყვეტიათ ავტონომიის მოსპობა.

◆ **რევოლიუციონერებზე თავდასხმა.** ვინიცაში პოლიცია თავს დასხმია რევოლიუციონერებს, რომლებიც ერთ სახლში იმალებოდნენ თურმე. რევოლიუციონერებს რევოლვერებით გაუციათ პასუხი პოლიციელების მცირე ჯგუფისთვის. ამის შემდეგ პოლიციას მისაშველებლად ერთი როტა სალდათი გამოუწვევია. რევოლიუციონერებს მაინც სროლა გაუგრძელებიათ. პოლიციას და სალდათებს ვერა გაუწყვეტიათ-რა და ამიტომ სახლისთვის ცეცხლი წაუკიდებიათ. რევოლიუციონერები მაინც არ დაჰნებებიან და მარსელიეზის მღერით ცეცხლში დამწვარან. როდესაც ცეცხლი ჩაუქრიათ, სახლში სამი დამწვარი უნახავთ, მათში ორი მამა-კაცი და ერთი ქალი.

◆ **ბავშვების გაყიდვა.** იაკუტის ოლქის მცხოვრებში აქამდის ბავშვების ყიდვა სწარმოებდა თურმე. ბავშვებს ათი წლიდან ჰყიდიან. თითო ბავშვში 10—50 მანეთამდე აძლევენ. გაყიდულ ბავშვების მდგომარეობა, გაზეთ „იაკ. კრაი“ სიტყვით, ნამდვილი მონურია. მყიდველს უფლება აქვს, რაც უნდა, ის უყოს ნაყიდ ბავშვებს.

◆ **ჩამოხრჩობა.** სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვთ: ეკატერინოსლავში — 7, მოსკოვში — 3; ჩამოუხრჩვიათ ეკატერინოსლავში 8; კიევის ციხეში 30 სიკვდილ გადაწყვეტი ზის ციხეში.

რედაქტორ-გამომცემელი
ი. ს. აგლაძე.

განცხადებანი

ჭურჭლის, სპილენძის, ლითონის, ემალის და ლამპის
მაღაზია
(ბარონისა და ნერსესოვის ქუჩების კუთხეში, სომხთა სემინარიის პირდაპირ)
დ. გ. ეგანოვისა
დღესასწაულების წინ დანიშნულია
დიდი იაფობა
მაღაზიის ყველა ნივთებისა.

ყველაფერი ფას დაკლებით. თეფშები და სტაქნები 50 კაპეიკიდან დუჟინი. ფასი, შეუვაჭრებლად, ყველა ნივთზეა დაწერილი.
(3—ხალ.—2)

გეომეტრი და მარკშაიდერი
გ. ს. ასათიანი
ვეგმავს ყოველგვარ ადგილებს, ადგენს ზომიერ ფასებში **სახლებისა** და სხვა სამოქალაქო შენობების **პლანებსა და პროექტებს**.
ქალაქი ქუთაისი, ქალაქის გამგეობა, გ. ს. ასათიანი. (0—6.—69)

1865 წ. 1870 წ. 1882 წ. 1896 წ.
ამხანაგობა
რუსეთ-ამერიკის სარეზინო
მანუფაქტურისა
ფირმით
სამკუთხი
პეტერბურგში
სატეხნიკო ნივთები.
რეზინის ღვედები.
რეზინისა და პენკის მილები.
აზბესტის ნაწარმოები.
აზბესტის კარტონი.
ქირურგიული და საექიმო ნივთები.

წამოსასხამები და პალტოები.
გარეზინებული მატერიები.
ველოსიპედის შინები და კუთვნილებანი:
რეზინის სათამაშოები.
ბურთები.
რეზინის ნაბოიკა.
კალოშები
რეზინის ყოველგვარი ნაწარმოები და ნაწარმოები ძველის რეზინისა.

გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ ამ დაღს:
1860.
Т.Р.А.Р.М
С.ПЕТЕРБУРГЪ.
ყოველგვარ შეკითხვით და საქონლის დასაკვეთად მსურველმა უნდა მიმართოს
სავაჭრო სახლს.
„ლეოპოლდ ნეიშელლერი“,
ტფილისი, ერევნის მოედანი, საკრედიტო საზოგადოების სახლი.
პრეის-კურანტები პირველსავე მოთხოვნილებაზე უფასოდ იგზავნება.
(10—6.—4)

სტამბა „სინათლე“. დიდი ვანქის ქუჩა, № 12.